პროლეტარიელნო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

KOMUNISTI ORGAN TSENTRALNOGO I TBILISSKOGO KOMITETOV KP (B) GRUZII I SOVETOV DEPUTATOV TRUDYASHCHIKHSYA GRUZINSKOY SSR

გამოცემის 29-ე წელი

ოთხშაბათი, 5 იანვარი, 1949 წ. № 3 (8306). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში.

ხალხი სასამართლო ორგანოებში ასახელებს მოწინავე ადამიანებს — მოწინავე (1-ლი გვერდი).

სსრ კავშირის ელექტროსადგურების მინისტრის კატაკი ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი ელექტროსადგურების გამომუშავების წლიური გეგმის შესრულების შესახებ (1-ლი გვერდი).

სსრ კავშირის საშენ მასალათა მრეწველობის მინისტრის კატაკი ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი პროდუქციის საერთო გამომუშავების სახელმწიფო გეგმის შესრულების შესახებ (1-ლი გვერდი).

ჩვენს რესპუბლიკაში (1-ლი გვერდი).

ტრაქტორების რემონტის ტემპი უნდა გაძლიერდეს (1-ლი გვერდი).

სახალხო მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა კანდიდატების დასახელება წარმატებით მიმდინარეობს (მე-2 გვერდი).

პარტიული ცხოვრება (მე-2 გვერდი).

მზადება საგაზაფხულო ხვნა-თესვისათვის (მე-2 გვერდი).

ქუთაისი—საქართველოს მშრომელთა სიამაყე (მე-3 გვერდი).

უცხოეთის ამბები — დეპეშები (მე-4 გვერდი).

ხალხი სასამართლო ორგანოებში ასახელებს მოწინავე ადამიანებს

ახალი ხუთწლედის მეოთხე წლის პირველი დღეები ხასიათდება საქართველოს მშრომელთა ძაღალი სამეურნეო და პოლიტიკური აქტივობით. რესპუბლიკის ფაბრიკა-ქარხნების მუშაკთა კოლექტივები, კოლმეურნე გლეხობა და ინტელიგენცია თავდადებით იბრძვიან, რათა სახალხო მეურნეობის ყველა დარგში ახალ გამარჯვებათა მოპოვებით შეხვდნენ საქართველოს ბოლშევიკების XIV ყრილობას, რომელიც 25 იანვარს გაიხსნება.

ამეამად ჩვენს რესპუბლიკაში ფართოდ არის გაჩაღებული მზადება სახალხო სასამართლოთა არჩევნებისათვის. პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და სხვა ორგანიზაციები ადგილებზე ფართო მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობას ეწევიან ამ დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური კამპანიის წარმატებით ჩასატარებლად. ეს ხელს უწყობს მასების პოლიტიკური და შრომითი აქტივობის ყოველდღიურ ზრდას.

დიადი სტალინური კონსტიტუციით საბჭოთა ადამიანებს მინიჭებული აქვთ ფართო დემოკრატიული უფლებები. საბჭოთა ადამიანებისათვის უზრუნველყოფილია საყოველთაო, პირდაპირი და თანასწორი საარჩევნო უფლება ფარული კენჭისყრის საფუძველზე არა მარტო შრომელთა დეპუტატების უმაღლესი და ადგილობრივი საბჭოების არჩევნებში, არამედ სახალხო სასამართლოების არჩევნებშიც.

საბჭოთა სასამართლო ემსახურება სოციალისტური სახელმწიფოს ინტერესებს, კომუნიზმის მშენებელ ადამიანთა ინტერესებს. საბჭოთა სასამართლო დგას სტალინური კონსტიტუციის პრინციპების საგუშაგოზე, იცავს მეურნეობის სოციალისტურ სისტემას და სოციალისტურ საკუთრებას, მოქალაქეთა უფლებებსა და ინტერესებს, რაც კანონით არის გარანტირებული.

ქალაქისა და სოფლის მშრომელთა ორგანიზებულობისა და საბჭოთა ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობის კიდევ უფრო განმტკიცების ნიშნით დაიწყო სახალხო მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა კანდიდატების დასახელება ჩვენს რესპუბლიკაში. საქართველოს მშრომელებმა სახალხო მოსამართლეთა კანდიდატებად დასახელეს მოწინავე ადამიანები, რომელთაც აქვთ ცხოვრების დიდი გამოცდილება, კარგად ესმით ბოლშევიკური პარტიის პოლიტიკა და შესწევთ უნარი განახორციელონ იგი, მტკიცედ იდგნენ საბჭოთა მართლმსაჯულების ურყევად გატარების საგუშაგოზე. დედაქალაქის საწარმოთა და დაწესებულებათა კოლექტივებმა სახალხო მოსამართლეთა კანდიდატებად უკვე დასახელეს ბერიას რაიონის მე-4 უბნის მოსამართლე ა. ი. სტურუა, ლენინის რაიონის მესამე უბნის მოსამართლე ა. ბ. გაგუა, 26 კომისრის რაიონის პირველი უბნის მოსამართლე მ. ნ. ბუხრაშვილი, ამავე რაიონის მეორე უბნის მოსამართლე გ. ი. ჯინჭველაშვილი და სხვ. ყველა აღნიშნულმა ამხანაგმა, ისევე, როგორც სხვა დასახელებულმა კანდიდატებმა, სამშობლოსადმი, ლენინ-სტალინის დიადი პარტიისადმი თავიანთი ერთგულებით ჯეშმარიტად დაიმსახურა ხალხის ნდობა და პატივისცემა.

სახალხო მსაჯულებად ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები ასახელებენ ფაბრიკა-ქარხნებისა და დაწესებულებების, კოლექტიური მეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მოწინავე ადამიანებს — ხუთწლედის ვადამდე შესრულების ინიციატორებსა და უხვი მოსავლის ოსტატებს. თბილისის საორთქლმავლო დეპოს მუშაკთა კოლექტივმა სახალხო მსაჯულებად დასახელა ცნობილი სტახანოველები ა. დავითაშვილი, მ. ნარიმანიძე, მ. ბარნაბიშვილი, გ. პაქსაშვილი და სხვ. რადიოსტელეგრაფო ქარხნის მუშებმა და ინჟინერ-ტექნიკოსებმა სახალხო მსაჯულთა კანდიდატებად დასახელეს რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა თბილისის ინსტიტუტის ლექტორი ამხ. ი. დ. შენგელია და რადიო-სტელეგრაფო ქარხნის მექანიკური საამქროს ინჟინერი ამხ. ნ. ს. ხარტახი. აღნიშნული ამხანაგები და სახალხო მსაჯულებად დასახელებული სხვა კანდიდატები არიან მოწინავე ადამიანები, რომლებიც კანონიერად სარგებლობენ მოსახლეობის ნდობით და აქვთ მორალური უფლება გასამართლონ სხვები.

სახალხო მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა კანდიდატების წამოყენება გრძელდება. ჩვენი ამოცანაა კანდიდატებად ყველგან დავასახელოთ მოწინავე ადამიანები, მუშების, კოლმეურნე გლეხობისა და ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები, კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის ღირსეული კანდიდატები.

სახალხო მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა კანდიდატების დასახელებასთან დაკავშირებით იზრდება აგიტატორთა და პროპაგანდისტთა, ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების მოვალეობა. საჭიროა კიდევ უფრო გავაძლიეროთ მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა მოსახლეობაში, სანიმუშოდ მოვაწყოთ აგიტპუნქტები, უზრუნველყოთ დასახელებულ კანდიდატთა შესახებ კონკრეტული, შინაარსიანი საუბრების მომზადება და მოწყობა.

ამომრჩეველთა შორის საგაგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობის სანიმუშოდ მოწყობით, არჩევნების საუკეთესო ორგანიზაციულ-ტექნიკური მომზადებით უნდა მივაღწიოთ სახალხო მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა არჩევნების წარმატებით ჩატარებას, კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის მორიგ ბრწყინვალე გამარჯვებას.

ი. ბ. სტალინის თხზულებათა მეორე და მესამე ტომები უზბეკურ ენაზე

ტაშკენტი. (საკძესი). უზბეკეთის სსრ სახელმწიფო გამომცემლობამ უზბეკურ ენაზე გამოუშვა ი. ბ. სტალინის თხზულებათა მეორე და მესამე ტომები. თარგმანი შეასრულა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის უზბეკეთის ფილიალმა.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს

მოგახსენებთ, ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძე, რომ ელექტროსადგურების სამინისტროს ელექტროსადგურებმა ელექტროენერგიის გამომუშავების წლიური გეგმა შეასრულეს 1948 წლის 26 დეკემბრისათვის.

მიმდინარე წელს გამომუშავებულია 16,6 პროცენტით მეტი ელექტროენერგია, ვიდრე 1947 წელს.

1948 წლის 28 დეკემბრისათვის წლიური პროგრამა გადაჭარბებით შეასრულეს შემდეგმა ენერგოსისტემებმა: ურალის, მოსკოვის, კუზბასის, დნეპრის, გორკის, ნოვოსიბირსკის, სტალინგრადის, ყარაგანდისა და მთელმა რიგმა სხვებმა.

1948 წელს ელექტროსადგურებმა გეგმის გადამეტებით დაზოგეს საკუთარი საჭიროებისათვის 400 ათას ტონაზე მეტი ქვანახშირი და 100 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგია.

ენერგიის თვითღირებულების შემცირებისაგან მიღებული ზეგეგმითი ეკონომია 11 თვის განმავლობაში შეადგენს 200 მილიონ მანეთს.

1948 წელს ელექტროსადგურებში ამუშავებულია 30 პროცენტით მეტი ახალი სიმძლავრენი, ვიდრე 1947 წელს.

ელექტროსადგურების სამინისტროს ტორფის საწარმოებმა ტორფის ამოღების გეგმა 1948 წელს 102 პროცენტით შეასრულეს.

პირობას გაძლევთ, ამხანაგო სტალინ, რომ ელექტროსადგურების სამინისტროს ენერგეტიკოსები კვლავაც მიიღებენ ყველა ზომას მომხმარებელთა ელექტროენერგიით დაუბრკოლებელი მომარაგებისათვის.

სსრ კავშირის ელექტროსადგურების მინისტრი
დ. ჟიმერინი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს

მოგახსენებთ, ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძე, რომ სსრ კავშირის საშენ მასალათა მრეწველობამ საერთო პროდუქციის გამოშვების 1948 წლის სახელმწიფო გეგმა 112 პროცენტით შეასრულა. მთლიანად და გადაჭარბებით აოის შესრულებული ცემენტის, ფანჯრის მინის, შიფერის, რბილი სახურავის, აგურის, სათბობი რადიატორების, საშენი ქვანახშირის, აზბესტის, აზბესტცემენტის მილებისა და პროდუქციის სხვა სახეების წარმოების წლიური გეგმა.

გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 4,9 მილიონი კვადრატული მეტრი ფანჯრის მინა, 42 მილიონი ფილა შიფერი, 425 ათასი რულონი რბილი სახურავი, 172 ათასი კვადრატული მეტრი სათბობი რადიატორები, 20 ათასი კვადრატული მეტრი სათბობი ქვაბები.

1947 წელთან შედარებით მიღწეულია გამოშვების ზრდა: ცემენტისა 37 პროცენტით, ფანჯრის მინისა 26 პროცენტით, შიფერისა 35 პროცენტით, რბილი სახურავისა 22 პროცენტით, აგურისა 60 პროცენტით, სტანდარტული სახლებისა 52 პროცენტით, სათბობი რადიატორებისა 43 პროცენტით, საშენი ქვანახშირისა 40 პროცენტით, აზბესტცემენტის მილებისა 112 პროცენტით.

მოხარული ვართ მოგახსენოთ, რომ საშენ მასალათა მრეწველობამ მნიშვნელოვნად გადააჭარბა ცემენტის, ფანჯრის მინის, შიფერის, რბილი სახურავის, სტანდარტული სახლების, სათბობი რადიატორების, საშენი ფაიფურის და სხვა საშენი მასალების წარმოების ომამდელ დონეს. პროდუქციის გამოშვებამ 1948 წელს 30 პროცენტით გადააჭარბა 1940 წლის დონეს.

თვითღირებულების შემცირების დაგალების გადაჭარბებით შესრულებით საშენ მასალათა მრეწველობის საწარმოებმა 1948 წლის 11 თვეში მოგვცეს 160 მილიონი მანეთი ზეგეგმითი ეკონომია.

სსრ კავშირის საშენ მასალათა მრეწველობის
მინისტრი ს. გინზბურგი

ჩვენს რესპუბლიკაში

★ ★ ★ ★

საქართველოს მეცხემენტეებმა შეასრულეს ნაკისრი ვალდებულებები

სტალინის სახელობის საქართველოს ცემენტის ქარხნის კოლექტივმა 1948 წლის საწარმოო გეგმა შეასრულა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 31-ე წლისთავისათვის და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის სახელზე გაგზავნილ წერილში იკისრა ვალდებულება წლის ბოლომდე საშობლოსათვის დამატებით მიეცა ცემენტი წლიური გეგმის 21,3 პროცენტის რაოდენობით.

ქარხნის დირექტორმა ამხ. **სავინსკიმ** და საქართველოს კ. პ. (ბ) კასპის რაიკომის მდივანმა ამხ. **ქველაძემ** საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს აცნობეს, რომ ქარხანამ ცემენტის გამოშვების 1948 წლის გეგმა 122,6 პროცენტით შეასრულა. განსაკუთრებული წარმატებით იმუშავა ქარხნის კოლექტივმა დეკემბერში — თვიური გეგმა 145,5 პროცენტით გაანაღდა. სამრეწველო წარმოების დონის მიხედვით ქარხანამ ხუთწლიანი გეგმა სამ წელიწადში შეასრულა.

ქარხნის კოლექტივმა იკისრა შეინარჩუნოს მიღწეული წარმატებები და 1949 წელს ქვეყანას მისცეს უფრო მეტი ცემენტი.

საკოლმეურნეო რადიოკვანძი

ტყიბული. (საკ. კორ.). სოფელ ძმუისის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობაში გაიყვანეს რადიოკვანძი. სწრაფი ტემპით მიმდინარეობს კოლმეურნეთა ბინების რადიოფიკაცია.

ამხანაგ მიქოიანის დეპეშა გორის საკონსერვო ქარხნის კოლექტივს

გორი. (საკ. კორ.). გორის საკონსერვო ქარხნის დირექტორმა ამხ. საყვარელიძემ მიიღო ამხანაგ ა. მიქოიანის დეპეშა, რომელშიც ნათქვამია: „მაყოფილებით შევიტყე, რომ გორის საკონსერვო ქარხანამ ხუთწლიანი გეგმა შეასრულა სამ წელიწადში და სახელმწიფოს მისცა 3.300 ათასი მანეთი ზეგეგმითი დაგროვება. თქვენი ამოცანაა საუკეთესოდ მოემზადოთ ახალი სეზონისათვის. ქარხნის მთელ კოლექტივს ვუსურვებ შემდგომ წარმატებებს.

ამხანაგ მიქოიანის დეპეშის მიღებასთან დაკავშირებით მოწვეულ მიტინგზე ქარხნის კოლექტივმა იკისრა უფრო მაღალნაყოფიერად იმუშაოს ახალ სამეურნეო წელს და ქვეყანას მისცეს მეტი და მაღალხარისხოვანი პროდუქცია.

პირველი თვითმავალი კომბაინები საქართველოში

საქართველოს საბჭოთა მეურნეობებმა და მექანიზაციის სკოლებმა მიიღეს პირველი თვითმავალი კომბაინები. ახალი რთული მანქანის მომსახურეობისათვის მზადდება 120 სპეციალისტი. ველისციხის, წულუკიძის და სურამის სამექანიზაციო სკოლებში მოეწყო სასწავლო კაბინეტები, რომლებიც უზრუნველყოფილი არიან ახალი მანქანის მოდელებით, მაკეტებითა და სქემებით.

ი. ბ. სტალინის მონუმენტი

ნალენჯიხა. (საკ. კორ.). რაიონულ ცენტრში დაიდგა დიდი სტალინის მონუმენტი. მონუმენტი 5 მეტრის სიმაღლისაა. ფეხურის სიმაღლე 2 მეტრია.

ცხვრის ახალი ჯიში—ქსანური

ლენინგორი. (საკ. კორ.). რაიონის მოწინავე მეცხვარეებმა გამოცდილი ექიმ-ვეტერინარების დახმარებით მოახდინეს ცდები და „რამბულიეს" ჯიშის ცხვარი შეაჯვარეს ადგილობრივი ჯიშის ცხვართან. მიღებული იქნა ცხვრის ახალი ჯიში — ქსანური.

ქსანურ ცხვარს ბეური უპირატესობა აქვს. მაგალითად, თუ დღემდე გავრცელებული ადგილობრივი ჯიშის ცხვარი წელიწადში იძლევა 2,5-2,8 კილოგრამ მატყლს, ახალი ქსანური ცხვარი წელიწადში იძლევა 4-5 კილოგრამ მატყლს, ე. ი. თითქმის ორჯერ მეტს. ამასთანავე ქსანურის მატყლი ხარისხით თითქმის ორჯერ უკეთესია, ვიდრე ადგილობრივი ჯიშის ცხვრისა. იგი რბესაც მეტს იძლევა, უფრო სწრაფად მრავლდება და უკეთესად ეგუება ადგილობრივ პირობებს.

ახლა ლენინგორის რაიონის კოლმეურნეობათა მეცხვარეობის ფერმებში ქსანური ჯიშის 7.000-მდე სული ცხვარი ჰყავთ.

საქვაბე საამქრო

ქუთაისი. (საკ. კორ.). საავტომობილო ქარხნის მშენებლებმა მუშა-მოსამსახურეების საერთო საცხოვრებლებისა და სამმართველოს დაწესებულებათა გათბობის მიზნით მოაწყეს ცენტრალური საქვაბე საამქრო. ახალი საამქრო ამ დღეებში გადაეცემა საექსპლოატაციოდ.

რუსთაველის თბილელექტროცენტრალის მონტაჟი და ასამუშავებლად გამართვა უკვე თავდება. მალე იგი მოქმედ ენერგეტიკულ საწარმოთა მწყობრში ჩადგება. **სურათზე:** თბილელექტროცენტრალის მოწინავე მემონტაჟეები და მშენებლები (მარცხნიდან მარჯვნივ) ინჟინერები შ. შარაბიძე და ვ. რომანუკა, მემონტაჟეთა ბრიგადირი გ. კუპრიაშვილი, ინჟინერი რ. მონახლიძე, მემონტაჟე გ. ბასილაშვილი, მემონტაჟეთა ბრიგადირი გ. მენთეშაშვილი, ინჟინერები ა. ჩუბინიძე და მ. ბარბაქაძე.

ფოტო-მონტაჟი ელ. გინზბურგისა

ზრაქტორების რემონტის ტემპი უნდა გაძლიერდეს

ჩვენი მტს-ების მუშაკები 1949 წელს მნიშვნელოვანი წარმატებებით შეხვდნენ. სატრაქტორო სამუშაოთა გასული წლის გეგმა მათ ვადამდე შეასრულეს. ტრაქტორების სამემდგომო-საზამთრო რემონტის 1948 წლის მეოთხე კვარტალის დაგალებაც წარმატებით არის განდიდებული.

კაჩრეთის მტს-ის მუშაკთა პატრიოტულ მოწოდებას მტს-ების მუშაკებმა მსურვალედ დაუჭირეს მხარი და ვალდებულება იკისრეს ტრაქტორებისა და მისაბმელი მანქანა-იარაღების რემონტი დაამთავრონ ვადამდე — 25 იანვრისათვის — საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობის გახსნის დღისათვის.

სოფლის მეურნეობის მექანიზატორთა შორის გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში ახალია ის, რომ ისინი იბრძვიან რემონტის გეგმის უადრესად მოკლე ვადებში შესრულებისათვის.

შეჯიბრებაში ახალია ისიც, რომ მთელმა რიგმა ტრაქტორისტებმა ვალდებულება იკისრეს ტრაქტორები 3-5 წლის განმავლობაში ამუშაონ კაპიტალური რემონტის გაუკეთებლად. ამას ჩვენს პირობებში დიდი მნიშვნელობა აქვს ტრაქტორების გამომუშავების ასამაღლებლად.

შეჯიბრების ინიციატორები — კაჩრეთის მტს-ის მუშაკები — პრაქტიკულად შეუდგნენ დასახული ამოცანის გადაწყვეტას და მზად არიან, რომ მინდვრად მუშაობის დროს განუწყვეტლივ უზრუნველყონ ტრაქტორების ტექნიკური მოვლა, რაც პირობის შესრულების საწინდარია.

სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდა წითელწყაროს მტს-იც, რომელმაც გასული წლის მეოთხე კვარტალში 44 ტრაქტორი შეაკეთა ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 24-სა. აქ კარგად არის დაყენებული მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა, სარემონტო სახელოსნოში იყენებენ ბრიგადულ-კვანძური მეთოდით რემონტს. ეს დიდად უწყობს ხელს შრომის ნაყოფიერების გადიდებას.

ტრაქტორების რემონტის ტემპი კიდევ უფრო უნდა გაძლიერდეს. ჩვენს ხელთ არსებული მასალები მოწმობენ, რომ მთელი რიგი მტს-ები აჭიანურებენ რემონტს და სუსტად იბრძვიან ნაკისრი ვალდებულებათა შესასრულებლად. გალის მტს-ში 1948 წლის მეოთხე კვარტალში შეაკეთეს მხოლოდ 7 ტრაქტორი, ნაცვლად 18-სა. აქ არ შეუსრულებიათ აგრეთვე გუთნების, კულტივატორების, სათესების, ბოსტნეულის გეგმა. საგარეჯოს მტს-ში ტრაქტორების რემონტის მეოთხე კვარტალის გეგმა სახეზეერთადაც არ არის განდიდებული. ბევრად უკეთესი მდგომარეობა ამ მხრივ არ არის ასურეთის, ულიანოვკის, ცხაკაიას II, გეგეჭკორისა და წულუკიძის მტს-ებში. ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები მოწოდებული არიან გაძლიერონ ხელმძღვანელობა და დახმარება მტს-ებისადმი, სასწრაფო ზომები მიიღონ ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად.

მიმღებმა კომისიებმა ზოგან შეასუსტეს მომთხოვნელობა ხარისხისადმი და დეფექტურ ტრაქტორებს ვარგისად თვლიან. მაგალითად, ქარელის მტს-ში გარემონტებულად ჩათვალეს ტრაქტორები, რომელთაც მთელი რიგი ნაწილები აკლდა. ასეთ ფაქტებს ვხვდებით წალკის, სტალინირისა და სხვა მტს-ებშიც. ტრაქტორების დროულად და მაღალხარისხოვნად შეკეთება სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეა. საჭიროა გავაძლიეროთ მომთხოვნელობა ხარისხისადმი.

თბილისის საწარმოები სერიოზულ დახმარებას უწევენ ჩვენს მტს-ებს ტრაქტორებისა და სხვა იარაღ-მანქანების სათადარიგო ნაწილების მოწოდებით. თბილისის კალინინის სახელობის მექანიკურმა ქარხანამ ტრაქტორების სათადარიგო ნაწილების 1948 წლის მეოთხე კვარტალის გეგმა 160 პროცენტით შეასრულა. ასეთი ძაგლითი ბევრია. მაგრამ ცალკეული საწარმოს მუშაკები სათადარიგო ნაწილების დროულად დამზადების შეუფასებლობას იჩენენ. თბილისის 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებლობის ქარხანამ მეოთხე კვარტალში ჩვენს მტს-ებს 500-ზე მეტი ნაწილი დაკარგა. ყველა საწარმო წარმატებით უნდა ასრულებდეს სოფლის დაკვეთებს. მათ ყველა საშუალება აქვთ ამისათვის.

ჩვენი რესპუბლიკის მტს-ებმა ამ იანვარში რამდენიმე ასეული ტრაქტორი უნდა შეაკეთონ. ეს მოითხოვს დაძაბულ მუშაობას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ უკიდურესად შევამციროთ ის დრო, რაც ტრაქტორების საზამთრო რემონტზე იხარჯება. მოწინავე მტს-ების, სარემონტო სახელოსნოების გამოცდილება ცხადყოფს, რომ რემონტის დაჩქარებას და ხარისხის გაუმჯობესებას დიდად უწყობს ხელს ბრიგადულ-კვანძური მეთოდით მუშაობა. მტს-ებსა და სარემონტო სახელოსნოებში შრომის სწორი ორგანიზაცია, მტკიცე დისციპლინის დამყარება გეგმის შესრულების საწინდარია.

ტრაქტორების რემონტის დაჩქარებისა და ხარისხის ამაღლებასთან ერთად მტს-ების მუშაკებმა უნდა გაძლიერონ გუთნების, სათესების, კულტივატორების, სამშებისა და სხვა მისაბმელი იარაღების შეკეთების ტემპი.

კაჩრეთელი მექანიზატორები საქართველოს მტს-ების ყველა მუშაკს მოუწოდებდნენ: „მაღალხარისხოვნად დავამთავროთ საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობის გახსნის დღისათვის—1949 წლის 25 იანვრისათვის ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების შემოდგომა-ზამთრის რემონტი".

ამ ვალდებულების შესრულების დრო დადგა. მტს-ების პირველადი პარტიული ორგანიზაციები, დირექტორების მოადგილენი პოლიტიკურ ნაწილში, პროფესიული და კომკავშირული ორგანიზაციები სათავეში უნდა ჩაუდგნენ მექანიზატორთა მზარდ აქტივობას, სისტემატურად შეამოწმონ, თუ როგორ ასრულებენ რემონტზე მომუშავენი ნაკისრ ვალდებულებებს, წაახალისონ მოწინავენი, დაეხმარონ ჩამორჩენილებს და მიაღწიონ საერთო ალმავლობას.

ი. ბ. სტალინის თხზულებათა მეცხრე ტომი აზერბაიჯანულ ენაზე

ბაკო. (საკდესი). აზერბაიჯანის სსრ სახელმწიფო გამომცემლობამ გამოუშვა ი. ბ. სტალინის თხზულებათა მეცხრე ტომი, თარგმნილი აზერბაიჯანულ ენაზე. გამოცემა მოამზადა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის აზერბაიჯანის ფილიალმა.

სახალხო მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა კანდიდატების დასახელება წარმატებით მიმდინარეობს

ღირსეული კანდიდატები

4 იანვარს შედგა თბილისის 26 კომისრის სახელობის ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკოსთა წინასაარჩევნო კრება, რომელსაც 600-მდე კაცი დაესწრო.

საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. ი. ბახტაძემ დამსწრეთ მოუწოდა სახალხო მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა კანდიდატებად წამოაყენონ ღირსეული ადამიანები, რომლებიც გაამართლებენ ხალხის ნდობას.

— წინადადება შემომაქვს, — განაცხადა სამეედლო საამქროს უფროსმა ამხ. ვ. კაპატაძემ, — სახალხო მსაჯულთა კანდიდატებად დასახელებულ იქნან ჩვენი ქარხნის ცნობილი სტახანოველები ი. სამაგლიშვილი, ს. ჯოხონელიძე და ვ. ზარიაქოვი, რომლებმაც ჯერ კიდევ გასული წლის 5 დეკემბრისათვის შეასრულეს 1 ექვს-ექვსი წლის ნორმები და ახლა 1952 წლის ანგარიშში იძლევიან პროდუქციას.

ახალგაზრდა ხარატ ა. ჭელიძეს და ზერჩალ ვ. ხეჩუაშვილს მთელი ქარხნის კოლექტივი იცნობს, როგორც მოწინავე სტახანოველებს. გასულ წელს მათ 5 წლის დავალება შეასრულეს. ამიტომ ქარხნის კოლექტივმა ერთსულოვნად დასახელა ისინი სახალხო მსაჯულთა კანდიდატებად.

სახალხო მსაჯულთა კანდიდატებად აგრეთვე დასახელეს მრანდავი თ. ვახტანგშვილი, ქარხნის კადრების განყოფილების უფროსი ა. ასანიძე, სტახანოველები ვ. ჩიტიაშვილი, კ. ცოფურაშვილი, შ. ვეშაპური და ე. ბეგელური.

— ლენინის რაიონის მეთერთმეტე საარჩევნო ოლქში, — განაცხადა ქარხნის პარტბიუროს მდივანმა გ. სტურუა, — სახალხო მოსამართლის კანდიდატად ვასახელებ სერგი ვარლამის-ძე გელაშვილს. ჩვენ მას ვიცნობთ, როგორც უმზიკვლო მუშაკს, რომელიც საბჭოთა კანონებს ზუსტად ახორციელებს. იგი ოთხი წელია მუშაობს ლენინის რაიონის მეოთხე უბნის სახალხო მოსამართლედ. ამ ხნის განმავლობაში მან რამდენჯერმე მოაწყო საჩივრებელი პროცესი ქარხანაში. სახელმწიფო ქონების გამნიავებელთა, სპეკულანტთა, შრომის დისციპლინის დამრღვევთა და ყველა სხვა ბოროტმოქმედთა წინააღმდეგ სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენები ყოველთვის იმსახურებდა ჩვენი ქარხნის კოლექტივის ერთსულოვან მოწონებას. ცალკეულ საამქროებში ამხ. ს. გელაშვილი მრავალჯერ გამოსულა საანგარიშო მოხსენებით. მან დიასახლისებისათვის ჩაატარა რამდენიმე ლექცია — „ლენინი და სტალინი სოციალისტური კანონიერების შესახებ“, „სახალხო სასამართლო სოციალისტური საკუთრების დაცვისათვის ბრძოლაში“ და სხვ. 1948 წლის 11 დეკემბერს სსრ კავშირის იუსტიციის მინისტრის ბრძანებით სახალხო სასამართლოს მუშაობის საუკეთესოდ დაყენებისათვის და უმწიკვლო მუშაობისათვის ამხ. ს. გელაშვილს გამოეცხადა მადლობა.

საერთო კრებამ ერთხმად მიიღო დადგენილება სახალხო მოსამართლის კანდიდატად მეთერთმეტე საარჩევნო ოლქში ამხ. სერგი ვარლამის-ძე გელაშვილის წამოყენების შესახებ.

კრებამ საოლქო წინასაარჩევნო თათბირზე თავის წარმომადგენლად აირჩია 40 კაცი.

მეცნიერ მუშაკთა რჩეული

საქართველოს კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლთა, სტუდენტთა და მუშა-მოსამსახურეთა წინასაარჩევნო კრება მიეძღვნა სახალხო მოსამართლისა და სახალხო მსაჯულების კანდიდატთა დასახელებას.

ინსტიტუტის ადგილკომის თავმჯდომარემ ამხ. ა. რაზმაძემ.

სიტყვა აიღო ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატმა ამხ. მ. ალასანიამ.

მოსამართლე ლუბა დინარსოს ასულ არზიანს ჯერ კიდევ მაშინ ვიცნობდი, როდესაც უმაღლეს სასწავლებელში სწავლობდა. იგი სასწავლებელშიც გამოირჩეოდა თავისი ბეჯითობითა და ავტორიტეტით. უნივერსიტეტის კურსის დამთავრების შემდეგ ამხ. არზიანი კეთილსინდისიერად ემსახურება ხალხს, ათი წელია სახალხო მოსამართლის თანამდებობაზე წარმატებით მუშაობს. იგი ღირსია კვლავაც ასრულებდეს ამ საპატიო მოვალეობას.

ამხ. ალასანიამ ამხ. არზიანი დაასახელა სტალინის რაიონის მეხუთე საარჩევნო ოლქში კენჭისსაყრელად.

დოცენტმა მ. ხანანაშვილმა სახალხო მსაჯულად დასახელა ინსტიტუტის უფროსი მასწავლებელი მ. კიკაჩეიშვილი, რომელიც დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობს პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა შორის.

ამხ. ხანანაშვილის წინადადებას მხარი დაუჭირეს პარტიული კომიტეტის მდივანმა ამხ. სხირტლაძემ, დოცენტმა ვ. ჩაგუნავამ და სხვებმა

სახალხო მსაჯულების კანდიდატებად დასახელებული არიან აგრეთვე ასისტენტი ვ. ურთმელაძე, ასპირანტი ბ. ტოგონიძე, უფროსი მეცნიერი მუშაკი პ. წულუკიძე და სხვები, სულ 8 კაცი.

საერთო კრებამ საოლქო წინასაარჩევნო თათბირზე თავის წარმომადგენლად აირჩია 5 კაცი.

მოწინავე ადამიანები

სახალხო მოსამართლისა და სახალხო მსაჯულების კანდიდატთა დასახელებას მიეძღვნა თბილისის პირველი სამკერვალო ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეთა კრება, რომელიც გუშინ შედგა.

— სახალხო სასამართლო, — განაცხადა ფაბრიკის დირექტორმა ამხ. მ. ქართველიშვილმა, — ჩვენი სახელმწიფოს მძლავრი იარაღია სოციალისტური მართწესერიგის განმტკიცებაში. სახალხო მოსამართლისა და სახალხო მსაჯულთა კანდიდატებად უნდა დავასახელოთ სამშობლოსათვის თავდადებული ადამიანები, რომლებიც გაამართლებენ ხალხის ნდობას.

— ჩვენი ფაბრიკის მუშები, — განაცხადა მთავარმა ინჟინერმა ლ. სიჭინავამ, — კარგად იცნობენ მოლოტოვის რაიონის პირველი უბნის სახალხო მოსამართლის ალექსანდრე ივანეს-ძე მაისურაძის მუშაობას. იგი მტკიცედ იცავს საბჭოთა კანონებს, ახალგაზრდა, ენერგიული მუშაკია. ამიტომ წინადადება შემომაქვს სასამართლო ორგანოების არჩევნების მეთორმეტე საარჩევნო ოლქში სახალხო მოსამართლის კანდიდატად წამოყენებულ იქნას ამხ. გ. მაისურაძე.

ამხ. სიჭინავას წინადადებას მხარი დაუჭირა ფაბრიკის მესამე საამქროს უფროსმა ამხ. ორთოიძემ.

კრებამ სახალხო მსაჯულთა კანდიდატებად წამოაყენა ფაბრიკის მოწინავე ადამიანები, სტახანოველები ა. ბებია, ვ. გეგეჭკორი, ე. დარჩიაშვილი, მ. ერისთავი, ნ. გეგელაშვილი, ნ. შანიძე, ე. თევდორაძე, ე. ოყოევა, ნ. ხელაშვილი, თ. მამფორია და მ. ციხიშვილი.

ასახელებენ ნდობით აღჭურვილთ

წინასაარჩევნო კრებაზე შეიკრიბნენ თბილისის ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკის სტახანოველები, ინჟინერ-ტექნიკოსები და მოსამსახურენი.

ფაბრიკის დირექტორი ამხ. კ. ბუჯიაშვილი ლაპარაკობს სახალხო სასამართლოების მნიშვნელობასა და როლზე სოციალისტურ სახელმწიფოში, ჩვენი სახალხო სასამართლოების არჩევნებისა და მისი დემოკრატიული ხასიათის შესახებ. დასასრულ ამხ. ბუჯიაშვილმა თქვა:

— მოსამართლე ხალხის მსახურია. ამ საპატიო საქმეს ღირსეულად ასრულება ამხ. მიხეილ ნესტორის-ძე ბუხრაშვილი. იგი კარგად უძღვება საქმეს, იბრძვის სოციალისტური მართლმსაჯულების ზუსტად განხორციელებისათვის. წინადადება შემომაქვს ამხ. ბუხრაშვილი დავასახელოთ მოსამართლის კანდიდატად ჩვენი რაიონის ოცდამეშვიდე საარჩევნო ოლქში.

ტყვიის საგამომჭრელო საამქროს ოსტატმა ამხ. წითელაურმა, რომელიც საწარმოო დავალებას ყოველდღიურად 150 პროცენტით ასრულებს, მხარი დაუჭირა ამხ. ბუჯიაშვილის წინადადებას.

სიტყვებით გამოვიდნენ ქარხნის მოწინავე მუშები მ. ჯაბრიელოვი, ლ. დიამანტოპულო, ნ. კობერიძე, ა. არუთინოვი და სხვები, რომლებმაც მხარი დაუჭირეს დასახელებულ კანდიდატურას.

ამავე კრებაზე სახალხო მსაჯულებად დასახელეს ა. კუჭავა, ირ. ნიკოლაიშვილი, ა. ახობაძე, ვ. იმედაშვილი, ე. მოწონელიძე, ე. ნაზარეგა და სხვა მოწინავე ადამიანები, სულ 28 კაცი.

პარტიული ცხოვრება

პარტიულ კონფერენციებზე

ქ. ბათუმი

ბათუმის მერვე საქალაქო პარტიულ კონფერენციაზე, რომელიც ამ დღეებში შედგა, საანგარიშო მოხსენება გააკეთა საქალაქო კომიტეტის მდივანმა ამხ. კ. ბეჭვაიამ.

მომხსენებელი ვრცლად შეჩერდა ახალი სტალინური ხუთწლედის მესამე გადაწყვეტი სამეურნეო წლის დავალებათა შესრულებისათვის ბრძოლაში ქალაქის საწარმოთა კოლექტივების მიერ მოპოვებულ წარმატებაზე, საწარმოთა რენტაბელობისათვის, ზეგეგმით დაგროვებისათვის ბრძოლის შედეგებზე, საწარმოებისადმი პარტიული კონტროლის საკითხზე, პარტიულ-პოლიტიკური მუშაობისა და კომუნისტთა იდეურ-პოლიტიკური განათლების საკითხებზე, მკაცრად გააკრიტიკა ზოგიერთი საწარმოსა და დაწესებულების პირველადი პარტიული ორგანიზაციების მუშაობის ნაკლოვანებანი.

მოხსენების გამო ქალაქში მონაწილეობა მიიღო 23 ამხანაგმა.

კონფერენციამ საქალაქო კომიტეტის პოლიტიკური ხაზი ცნო სწორად, პრაქტიკული მუშაობა — დამაკმაყოფილებლად.

კონფერენციამ დიდი აღფრთოვანებით მიიღო მისალმება ამხანაგ სტალინისადმი, მისალმება აგრეთვე გაგზავნათ ამხანაგებს ლ. ბ. ბერიას და კ. ნ. ჩარკვიანს.

კონფერენციამ აირჩია საქალაქო კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის ახალი შემადგენლობა და აჭარის XIX საოლქო პარტიული კონფერენციის დელეგატები.

შედგა საქართველოს კ. პ. (ბ) ბათუმის საქალაქო კომიტეტის პირველი პლენუმი. პლენუმმა საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად აირჩია ამხ. კ. ბეჭვაია, მეორე მდივნად — ამხ. ვ. ყურაშვილი, მესამე მდივნად ამხ. — ა. ბერაძე და მდივნად კადრების დარგში — ამხ. ვ. ყიფიანი. (საკ. კორ.).

გორი

შედგა გორის რაიონული პარტიული კონფერენცია, რომელზეც საანგარიშო მოხსენება გააკეთა რაიკომის მდივანმა ამხ. ი. ყუჯიაშვილმა.

— საანგარიშო პერიოდში — თქვა მან, — რაიონის პარტიულმა ორგანიზაციებმა პარტიულ-პოლიტიკური და პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობის გადამყოფილებლად, ხოლო პოლიტიკური ხაზი — სწორად.

კონფერენციამ აირჩია რაიონული კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის ახალი შემადგენლობა და საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობის დელეგატები.

ახლად არჩეული რაიონული კომიტეტის პლენუმმა რაიკომის პირველ მდივნად აირჩია ამხ. ს. საყვარელიძე, მეორე მდივნად — ამხ. ნ. კობახიძე, მდივნად კადრების დარგში — ამხ. ვ. ხეცაძე.

კონფერენციისა და პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს სსრ კინემატოგრაფიის მინისტრი ამხ. გ. კიკნაძე.

ტყიბული

ორ დღეს მიმდინარეობდა ტყიბულის რაიონის XX პარტიული კონფერენცია. კონფერენციაზე საანგარიშო მოხსენება გააკეთა რაიკომის მდივანმა ამხ. ე. ჯვებენაკამ.

— საანგარიშო პერიოდში, — განაცხადა მომხსენებელმა, — საგრძნობლად გაუმჯობესდა რაიონში პარტიულ-პოლიტიკური და პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობა, გაიზარდა კომუნისტების ავანგარდული როლი შახტებში, კოლმეურნეობებში, საწარმოდაწესებულებებში. შეუნელებელი ყურადღება ექცევა კომუნისტთა შეიარაღებას მარქსისტულ-ლენინური თეორიით.

მომხსენებელი ვრცლად შეჩერდა პარტიული მუშაობის ნაკლოვანებებზე. შახტების პარტიულმა ორგანიზაციებმა,—თქვა მან,—ვერ განახორციელეს მტკიცე კონტროლი სამეურნეო საქმიანობისადმი, ვერ დარაზმეს მუშახტელები ქვანახშირის ამოღების გეგმების გადაჭარბებით შესასრულებლად. პარტიული მუშაობის სისუსტე, შახტებისა და უბნების ხელმძღვანელობის მოუქნელი მუშაობა, შრომის დაბალი დისციპლინა, შრომის ცუდი ორგანიზაცია,—აი რა არის ქვანახშირის ამოღების დავალებათა შეუსრულებლობის მთავარი მიზეზი.

სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის ამხ. გ. კობახიძის მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 17 ამხანაგმა.

კონფერენციამ რაიკომის განვლილი მუშაობა ცნო დამაკმაყოფილებლად, ხოლო პოლიტიკური ხაზი — სწორად.

კონფერენციამ აირჩია რაიონული კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის ახალი შემადგენლობა და საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობის დელეგატები.

შედგა ახლად არჩეული რაიონული კომიტეტის პლენუმი, რომელმაც რაიკომის პირველ მდივნად აირჩია ამხ. ე. ჯვებენაკა, მეორე მდივნად — ამხ. ბ. ჭელიშვილი, მდივნად კადრების დარგში—ამხ. ვ. შავგულიძე.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მძიმე მრეწველობის განყოფილების გამგემ ამხ. გ. ჯავახიშვილმა. (საკ. კორ.).

თიანეთი

თიანეთის რაიონულ პარტიულ კონფერენციაზე საანგარიშო მოხსენება გააკეთა რაიკომის მდივანმა ამხ. ვ. დვალმა.

— საანგარიშო პერიოდში,—განაცხადა მან, — რაიონის პარტიულმა ორგანიზაციებმა საგრძნობლად გაუუმჯობესეს ხელმძღვანელობა სოფლის მეურნეობისადმი. მიმდინარე წელს მაღალხარისხოვან შესრულდა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა გეგმები, მნიშვნელოვნად გადიდდა საშემოდგომო კულტურების ნათესი, შესრულებულია მეცხოველეობის განვითარების დავალება.

მომხსენებელმა მკაცრად გააკრიტიკა ადგილობრივი მრეწველობის განყოფილებისა და კოოპერაციის არადამაკმაყოფილებელი მუშაობა.

ამხ. დვალმა დაწვრილებით გააშუქა პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის მდგომარეობა რაიონის პირველად პარტიულ ორგანიზაციებში და ილაპარაკა რაიონის პარტიული ორგანიზაციების მორიგ ამოცანებზე.

კონფერენციამ რაიკომის განვლილი მუშაობა შეიფასა დამაკმაყოფილებლად და პოლიტიკური ხაზი ცნო სწორად.

შედგა ახლად არჩეული რაიონული კომიტეტის პლენუმი. პლენუმმა რაიკომის პირველ მდივნად აირჩია ამხ. ვ. დვალი, მეორე მდივნად — ამხ. დ. გონჯილაშვილი, მდივნად კადრების დარგში — ამხ. ზ. მათიერელი.

კონფერენციისა და პლენუმის მუშაობაში მონაწილეობას იღებდა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქტორი ამხ. გ. ცხოვრებაშვილი. (საკ. კორ.).

მზადება საგაზაფხულო ხვნა-თესვისათვის

დროულად და მაღალხარისხოვნად შევაკეთოთ ტრაქტორები

ტრაქტორისტებმა პირობა შეასრულეს

თელავი. (სპეც. კორ.). კაჭრეთელ მექანიზატორთა მოწოდების პასუხად თელავის მტს-ის კოლექტივმა სერიოზული ვალდებულებები იკისრა. გეგზავნდა სოციალისტური შეჯიბრება ტრაქტორებისა და მისაბმელი მანქანა-იარაღების რემონტის საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობის გახსნის დღისათვის დასამთავრებლად.

მეოთხე კვარტალში უნდა შეეკეთებინათ 10 ტრაქტორი, შეკეთებულია 13. 10 გუთხიდან მზად არის 4. კარგად მუშაობს მოტორების შემკეთებელი ბრიგადა, რომელსაც ი. კუბგავი ხელმძღვანელობს. ბრიგადამ შეაკეთა 14 მოტორი; თავი გამოიჩინა თვლების შემკეთებელმა ბრიგადამ (ხელმძღვანელი ს. ალადაშვილი).

აღსანიშნავია თ. კაჭკაჭიშვილის სარემონტო ბრიგადის მუშაობა. მან უკვე გაანაღდა ნაკისრი ვალდებულება— მთლიანად გაარემონტა 4 ტრაქტორი და შეუდგა გუთნების შეკეთებას. ასევე დაამთავრა ტრაქტორების რემონტი მესამე ბრიგადამ (ბრიგადირი გ. სიხარულიძე). რემონტზე ენერგიულად იმუშავეს ტრაქტორისტებმა შთირიშვილმა, კირიაკოვმა და წულუკიძემ.

მტს-მა წლების განმავლობაში ვერ მოაწყო „სტზ“ მარკის ტრაქტორებზე კარბიურატორების დაყენება. ახლა ყველა ამ მარკის ტრაქტორს აქვს კარბიურატორი და გაზის ამომწოვი მოწყობილობა. მტს-მა რემონტზე დღემდე 40.000 მანეთის ეკონომია გასწია. მზრალად უნდა მოეხნა 1.400 ჰექტარი, ფაქტიურად მოხნა 1.528 ჰექტარი.

სოციალისტური შეჯიბრების ძალა

წითელწყარო. (სპეც. კორ.). შრომის სწორად მოწყობით და სოციალისტური შეჯიბრების გაშლით გასულ წელს წითელწყაროს მტს-ის კოლექტივმა სატრაქტორო სამუშაოთა გეგმა ვადაზე ადრე, გადაჭარბებით შასრულა — ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 33.000 ჰექტარისა, რბილ ხვნაზე გადაყვანით მოხნა 39.152 ჰექტარი. მტს-ში განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ საწვავი მასალის ეკონომიას, დღემდე დაზოგილი აქვთ 50.000 კილოგრამი საწვავი.

აქ ერთსულოვნად გამოეხმაურნენ კაჭრეთელთა მიმართვას და საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის იკისრეს ახალი გადიდებული ვალდებულებანი. სიტყვას საქმეც მოჰყვა. გასული წლის მეოთხე კვარტალში აქ 44 ტრაქტორი შეაკეთეს, ნაცვლად 24-სა. დღემდე რემონტის თვითღირებულების შემცირებით დაზოგილი აქვთ 170 ათას მანეთამდე. განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ მექანიზაციის კადრების მომზადებას. ამ მიზნით მექანიზაციის სკოლებში გაგზავნილია 22 ახალგაზრდა მუშაკი. მტს-მა მოაწყო საველე რადიოწყრტები გადამცემი და მიმღები ხაზებით.

რემონტზე მომუშავეთა გამოცდილების გაზიარების მიზნით ყოველ ორ დეკადაში აწყობენ საწარმოო თათბირს, ამის შედეგად მტს-ში მრავალი მერემონტე დაწინაურდა. მაგალითად, მერვე სტარაქტორო ბრიგადამ (ხელმძღვანელი მ. მოსაშვილი) უკვე შეა კეთა 4 ტრაქტორი და ამით დავალება პირნათლად გაანაღდა.

მარგყოფელ მექანიზაციორთა წარმატება

თბილისის რაიონი. (სპეც. კორ.). მარტყოფის მტს-ის მუშაკებმა (დირექტორი ა. ჩარკვიანი, მოადგილე პოლიტნაწილში შ. კანდელაკი) გასული წლის სამუშაოთა გეგმები გადაჭარბებით შეასრულეს და ათეული ათასობით მანეთი დაზოგეს.

კაჭრეთელ მექანიზატორთა მოწოდებასთან დაკავშირებით 1948 წლის მეოთხე კვარტალში გეგმის გადამეტებით უკვე შეკეთებულია 2 ტრაქტორი, მტს-ის ტერიტორიაზე დარგულია 800 ძირი ხე. წარმატებით ხორციელდება ნაკისრი ვალდებულება — ტრაქტორებისა და გუთნების რემონტი მთლიანად დამთავრდეს საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობის გახსნის დღისათვის.

მტს-ის მუშაკებმა ვალდებულება აიღეს, რათა საგაზაფხულო თესვისათვის დამატებით მოამზადონ 17 ტრაქტორისტი, დაზოგონ 30.000 მანეთი და საწვავ-საცხები მასალა 5 პროცენტის რაოდენობით.

ტრაქტორების რემონტზე კარგად მუშაობენ მტს-ის უფროსი მექანიკოსი ამხ. სარჯველაძე, სახელოსნოს გამგე რ. ბახტაძე, ბრიგადირები ნიკოლეიშვილი და ი. კახაბრიშვილი, ტრაქტორისტი გ. ზაქარიაძე და სხვ.

მარტყოფელი მექანიზატორები სოციალისტურ შეჯიბრებაში არიან ჩაბმული მცხეთის მტს-ის მუშაკებთან, ისინი ენერგიულად მუშაობენ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის.

ოსი ხალხის საყვარელი გაზეთი

ოცდახუთი წლის წინათ, 1924 წლის 1 იანვარს, გამოვიდა საქართველოს კ. პ. (ბ) სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის, სტალინირის საქალაქო კომიტეტისა და მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომის ორგანოს გაზეთი „კომუნისტის“ პირველი ნომერი.

ვიდრე საბჭოთა ხელისუფლება დამყარდებოდა, სამხრეთ ოსეთის მშრომელები გაჭირვებაში ცხოვრობდნენ. ოს ხალხს ტანჯავდა უუფლებობა, იგი არაადამიანურ ჩაგრას განიცდიდა. ეს მხარე ეკონომიურად და კულტურულად ჩამორჩენილი იყო. ოს ხალხს არ ჰქონდა საკუთარი გაზეთი, საკუთარი წიგნი.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ოსმა ხალხმაც ამოისუნთქა თავისუფლად. ხალხთა ძმობის მზემ მასაც მოფინა ცხოველმყოფელი სხივები. ოცდახუთი წლის წინათ ოსმა ხალხმა პირველად იხილა გაზეთი შმობლიურ, ოსურ ენაზე. ეს მნიშვნელოვანი მოვლენა ზეიმით აღინშნა ოსმა ხალხმა.

გაზეთმა „კომუნისტმა“ დიდი როლი შეასრულა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ეკონომიური და კულტურული ზრდის საქმეში. იგი თვალსაჩინო დახმარებას უწევდა და უწევს ოლქის პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებს მშრომელთა დარაზმვის საქმეში ამ ამოცანების შესასრულებლად, რომელთაც საბჭოთა ხალხს წინაშე სახავენ ბოლშევიკური პარტია, საბჭოთა მთავრობა, დიდი სტალინი.

ასრულებდა რა კოლექტიური აგიტატორის, პროპაგანდისტისა და ორგანიზატორის როლს, გაზეთი „კომუნისტი“ სტალინური ხუთწლედების მანძილზე რაზმავდა ოლქის მშრომელებს სამეურნეო და კულტურულ მშენებლობათა ამოცანების წარმატებით გადაჭრისათვის.

ნაყოფიერად მუშაობდა გაზეთი „კომუნისტი“ საბჭოთა ხალხის დიდი სამამული ომის დღეებში. გაზეთი თავის ფურცლებზე სისტემატურად აუშვებდა საბჭოთა ხალხს გმირულ ბრძოლას გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ, ზურგის მშრომელებს მოუწოდებდა ყველაფერი დაეშორჩილებინათ ფრონტის ინტერესებისათვის, მტერზე გამარჯვების ინტერესებისათვის. გაზეთი ზშირად ბეჭდავდა ფრონტიდან გამოგზავნილ წერილებს, ბეჭდავდა მასალებს ფრონტზე მებრძოლი ოსი ხალხის სახელოვანი შვილების შესახებ.

წლითიწლობით იზრდება გაზეთის აქტიური. თუ პირველ წლებში გაზეთის თანაამშრომელთა რაოდენობა ერთეულებით განისაზღვრებოდა, ახლა გაზეთ „კომუნისტში“ თანამშრომლობს 485 კაცი. ასე ფართო აქტივი გაზეთს შეასაღლებლას აძლევს იდეას ახალ მოთხოვნათა სიმაღლეზე, საინტერესოდ და შინაარსიანად გააშუქოს ოლქის მშრომელთა ცხოვრება.

ომის შემდგომ პერიოდში გაზეთი აქტიურ დახმარებას უწევს ოლქის მშრომელებს მეოთხე სტალინური ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის ბრძოლაში. „კომუნისტი“ სისტემატურად აშუქებს სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობას, წერს ოლქის საწარმოთა და კოლმეურნეობათა მოწინავე ადამიანებზე, ეწევა მათი გამოცდილების პოპულარიზაციას.

გაზეთი აშუქებს პარტიული ცხოვრების საკითხებს, აკრიტიკებს პარტიული ორგანიზაციების მუშაობის ნაკლოვან მხარეებს. გაზეთში აქტიურად მონაწილეობენ ხელმძღვანელი პარტიული მუშაკები. „კომუნისტში“ ქვეყნდება მასალები პროპაგანდისტებისა და აგიტატორებს დასახმარებლად, შუქდება მასობრივ-პოლიტიკური მუშაობისა და პარტიული განათლების საკითხები.

„კომუნისტი“ სერიოზულ დახმარებას უწევს სამხრეთ ოსეთში მომუშავე მწერლებს შემოქმედებითი ზრდის საქმეში.

გაზეთი „კომუნისტს“ ჯერ კიდევ ბევრი აქვს გასაკეთებელი. საჭიროა გაძლიერდეს ბრძოლა გაზეთში მოთავსებული კრიტიკული წერილების შედეგიანობისათვის, უფრო გაბედულად იქნას გაკრიტიკებული ნაკლოვანებანი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების მუშაობაში, გაუმჯობესდეს გაზეთის ენა. „კომუნისტის“ რედაქცია ვალდებულია მომავალში უფრო ნაყოფიერად მოაწყოს მუშობა, ყოველმხრივ დაეხმაროს სამხრეთ ოსეთის მშრომელთ ახალი სტალინური ხუთწლედის წარმატებით განხორციელების საქმეში.

ვლ. ფელაშვილი

„კომუნისტის“ ხაუთარი კორესპონდენტი

ქუთაისი—საქართველოს მშრომელთა სიამაყე

★

ჩვენი ქუთაისი

1947 წელს სწორედ იმ დღით ჩავედი ქუთაისში, როცა ლადო მესხიშვილის სახელობის ძველი თეატრის ნაშთებიდა ბოლმბენენ. ულმობელმა სტ-ქიმნმა ნაკარტუტად აქცია ქართველთათვის სათაყვანო სცენა, საიდანაც მამულისა და თავისუფლების სიყვარულს ქადაგებდნენ ჩვენი თეატრის კორიფეები.

ახალი თეატრის დამთავრებას ჯერ კიდევ ბევრი აყლდა. მაგრამ ქუთაისი წუხდა არა მარტო უთეატრობას, არამედ ამ შესანიშნავ ტრადიციათა მატარებელი შენობის დაკარგვას.

და, მართალი გითხრათ, ცხელი გულის საქმედ მომეჩვენა ქუთაისის საქალაქო პარტიული კომიტეტის გადაწყვეტილება: დაუყოვნებლივ დაეწყოთ მუშაობა დამწვარი თეატრის ადგილზე იმგვარივე თეატრის ასაგებად. ვერც ჩემს იქ ყოფნაში ათასიოდე ცალი აგურის მოზიდვამ დამარწმუნა, რომ რადენიმე თვის შემდეგ აქ ისევ თეატრის შენობას ვნახავდი. მაგრამ მოხდა ისი, როგორც გადაწყვეტეს ქუთაისელმა ბოლშევიკებმა: ძველი თეატრის ადგილზე სულ მოკლე დროში აღიმართა ახალი შენობა, ისგავსი წინაპრისა, უფრო სრულყოფილი...

სწრაფად შენდება ახალი ქუთაისი. ყოველი ჩასვლისას მოულოდნელი რამ გვაჯარებს ქალაქში. 1947 წელს მთავარ ქუჩაზე ეკლარის ქვით შემოსილმა შესანიშნავმა შენობამ — ადმინისტრაციულმა სახლმა — აღგვაფრთოვანა, ახლა კი ბელადის დიდმა მოხუმენტმა მშვენიერ მოედანზე. ასეთ მიღწევებს რომ ვხედავთ, ამაყად გავივლით ხოლმე საყვარელი ქალაქის ქუჩებში.

ქუთაისელმა ბოლშევიკებმა დიდი სტალინის მონუმენტი აღმართეს ქალაქის ცენტრში. ეკლარის მთლიან ქვაში გამოკვეთილი ქანდაკება ბელადისა გადასცქერის მთელ ქალაქს. ამ მონუმენტის აღმართვა იმ წარმატებათა დაგვიგვინებია, რომლებთაც ქუთაისელი ამხანაგები შეხვდნენ თავიანთ მორგი პარტიულ კონფერენციას.

მონუმენტის წინ გაშლილი მოედანი ერთი ულამაზესი ადგილთაგანია მთელ ქალაქში. მოედანს ერთის მხრით დასცქერის თეატრის ახალი შენობა, რომელიც სულ ძალე დამთავრდება, მეორე მხრით — ახლახან გახსნილი მუზეუმი, წინ კი შრიალებს ქუთაისის ცნობილი ბაღი, რომელსაც, თუ არ ვცდებით, მალე ასი წელიწადი შეესრულდება.

დიდად საინტერესოა ქუთაისის ახალი მუზეუმი. აქ მოკლე ხნის მანძილზე შეუკრებიათ ჩვენი ძატრიალური კულტურის შესანიშნავი ძეგლები და ექსპონატები იმერეთიდან, რაჭა-ლეჩხუმიდან. მათ შორის გვინდა დავასახელოთ მეხუთე საუკუნის ექსპონატი, რომელზეც პირველად გეხვდება ქართული ასომთავრული წარწერა ლიბონზე. ეს მუზეუმი წარმოგვიდგენს ქუთაისს გუშინდელ დღესაც, რომელიც ჩვენს თვალწინ დასრულდა: ტაძლახში ამოსერილი, მარგლის ტოტებაკეცილი მოქალაქენი, ფუსფუსი ბაზარზე; შეშით, ლეჩხუმური ხილით და ყურძნით სავსე „ძარის“ ურმები ბაღის გვერდით, მედილენები, მეეტლეები, ნალბანდები, მეუღაგრენი, ქალავნი, მღებავნი, კასრით „ციბულას“ დამტარებელნი, მიკიტნები, გარეუბნის ლაფან ქუჩებში გრძელდინგიანი შაი ღორები, ბაღსა და ბაღის კიდეში უსაქმურად აყუდებული მეჭორეები — ეს ყოველივე ახლა მუზეუმს ამბარია.

ახალმა საწარმოებმა, ქარხნებმა, გიგანტებმა შექმნეს ახალი ქუთაისი—ინდუსტრიული ქალაქი, მოასფალტებული ქუჩებით, ლამაზი სკვერებით, ფართო მოედნებით.

დიახ, მრავალ გამარჯვებას მიაღწიეს ახალი ქუთაისის მშენებლებმა, მრავალ წარმატებათა შესახებ შეეძლოთ ელაპარაკნათ ბოლშევიკებს თავის პარტიულ კონფერენციაზე, მოეთხროთ იმაზე, თუ როგორ უცვალეს მათ სახე ქალაქს.

ახალი ქუთაისი რიონის მარჯვენა ნაპირზე იზრდება. ეს არის ჩვენი მრეწველობის ახალი გიგანტების — საავტომობილო ქარხნის, სამთო მანქანათმშენებელი ქარხნის და სხვა საწარმოთა მიდამოები. საოცარი სისწრაფით იზრდება ეს ახალი ქუთაისი და იპყრობს სულ ახალ და ახალ ტერიტორიებს.

არა მარტო ქუთაისის, არამედ მთელი ჩვენი ქვეყნის სიამაყე — ქუთაისის საავტომობილო ქარხნის მშენებლობა წარმატებით მიმდინარეობს. უკვე მუშაობს მრავალი დაზგა, რომლებიც არა მარტო ქარხნისათვის საჭირო მექანიზმებს ამზადებენ, არამედ საბჭოთა კავშირის სხვა ქარხნებისათვის ავტომანქანებისა და ტრაქტორების ნაწილებსაც იძლევიან. დღეს ქარხნის კოლექტივის ძირითად საზრუნავს ავტომანქანის მოტორის ათვისება შეადგენს.

ავტოქარხნის კორპუსები მართლაც გრანდიოზულ სანახაობას წარმოადგენენ. მათ ათეული ჰექტარები უჭირავთ.

ამ ქარხანაზე შეიძლება ითქვას, რომ იგი ახალგაზრდობის ქარხანაა. იმერელი, მეგრელი, რაჭველი, ლეჩხუმელი, გურული ახალგაზრდობა განსაკუთრებული ინტერესით მოილტვის ქუთაისისაკენ ამ ქარხანაში სამუშაოდ, მონდომებით და გულსაყურით სწავლობს საქმეს.

სპილოსოდენა უზარმაზარ დაზგებთან დგანან ეს ვაჟაცები და დინჯად თლიან ფოლადს, ადნობენ რკინას, ამზადებენ მანქანის ნაწილებს. ისინი არიან პატრიოტები თავისი ქარხნისა, საამქროსი, დაზგისა.

ხვალ-ზეგ ეს ახალგაზრდები ავტომანქანის წარმოების დასრულებული ოსტატები იქნებიან და თავის ცოდნასა და გამოცდილებას გადასცემენ შვილებს, შვილშვილებს. ასე შეიქმნება ტრადიცია ქართული ავტომანქანის ოსტატთა მემკვიდრეობისა.

საავტომობილო ქარხანა — ეს არა მარტო ახალი ქუთაისია, იგი ახალი იმერეთია, ახალი ადამიანებით.

დღის წესრიგში დგას საქალაქო ტრანსპორტის გაფართოების საკითხი. ქარხნის მუშებისა და ინჟინერ-ტექნიკოსთა ძირითადი მასა ქალაქში ცხოვრობს. როგორ დაშვენდებათ ქუთაისია ქუჩებს სწრაფმავალი ტროლეიბუსები! უხმოდ გაიქროლებენ ისინი რიონსგალმა ავტოქარხნისაკენ. შესაძლებელია წელს ქუთაისში დაიწყოს მუშაობა ტროლეიბუსის გასაყვანად.

სამთო მანქანათმშენებელი ქარხანა, ლიტოპონის ქარხანა, აბრეშუმის კომბინატი, საკონსერვო ქარხანა, მანქანები, დაზგები — ეს ახალი ქუთაისი.

სულ ოთხიოდე საწარმო არსებობდა ქუთაისში, როცა ადგილობრივი ამხანაგები თავის ქალაქს უკვე ინდუსტრიულ ქუთაისს უწოდებდნენ. დღეს მართლაც ნამდვილად ინდუსტრიულია ჩვენი ქუთაისი, საქართველოს საამაყო ქალაქი.

ირაკლი აბაშიძე

სხვადასხვა ამბები

✪ **ქუთაისში ახლახან აღმოჩინეს** „ბალავარის სიბრძნის“ უცნობი ხელნაწერი. იგი მთავსებულია „წმიდა მამების ცხოვრების“ კრებულში. როგორც მინაწერებიდან ჩანს, ეს წიგნი 1832 წლის 22 თებერვალს აწერილი ყოფილა „ლალაკი და ცოფიანი ბერის რომანოზის“ მიერ. წიგნი დაწერილია საუკეთესო ხარისხის თეთრ სქელ ქაღალდზე, ორ სვეტად, გარკვეული ნუსხა-ხუცური ხელით თვითეულ სვეტში 51 სტრიქონია. სტატიათა სათაურები ნაწერია წითელი მელნით. წიგნის ზომაა: სიგრძით 32 სანტიმეტრი, სიგანით 21. ტეტში 180 გვერდს შეიცავს.

„ბალავარის სიბრძნის“ აღნიშნული ხელნაწერის რედაქცია არსებითად განსხვავდება ამავე ნაწარმოების დღემდე ცნობილი ყველა ქართული ნუსხისაგან, როგორც შინაარსით (ცალკე ეპიზოდების მიხედვით), ისე სტილით და ძველი გრამატიკული ფორმებით. ახლადდამოჩენილ ხელნაწერს თვალსაჩინო მეცნიერული და მხატვრული ღირებულება აქვს. მისი შესწავლა ბალავარიცოდნეობის ბევრ ახალ საკითხს ნათელყოფს.

✪ **საჭართველოს კ. პ. (ბ) ქუთაისის** საქალაქო კომიტეტთან არსებულ მარქსიზმ-ლენინიზმის ორწლიან უნივერსიტეტში ამჟამად სწავლობს 250 კაცი, ხოლო საღამოს პარტიულ სკოლაში— 70 კაცი.

✪ **ალექსანდრე პუშკინის სახელობის** ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიერმა ინსტიტუტმა, რომელიც 1933 წლიდან არსებობს, დღემდე სამშობლოს მისცა 5.000-ზე მეტი მაღალკვალიფიციური პედაგოგი.

ქუთაისი. ავტოქარხნის მშენებლობა. ამწყობები შ. ბეგიშვილი (მარჯვნივ) და ი. ხუხები ავტომობილის დეტალების დამუშავებაზე. ისინი ნორმებს 150-200 პროცენტით ასრულებენ.

ქუთაისი. კიროვის სახელობის სამკერვალო ფაბრიკა. სურათზე: მკერავი შ. ცინცაძე (მარჯვნივ), რომელმაც ექვსი წლის ნორმა შეასრულა.

ფოტო კლ. გინზბურგისა

ქალაქ ქუთაისის, საქართველოს ამ მეორე ინდუსტრიული ცენტრის საწარმოთა კოლექტივები საამაყო მაჩვენებლებით შეხვდნენ ახალ 1949 სამეურნეო წელს. წლიური გეგმის გადამეტებით გამოშვებული მრავალი ათასი მეტრი ქსოვილი, ასიათასობით ქილა კონსერვი, დიდძალი ფეხსაცმელი, შეკერილი ტანსაცმელი, სხვადასხვა ქიმიკატები, მანქანა-მოწყობილობა მიუძღვნეს სამშობლოს საახალწლო საჩუქრად ქუთაისის მოწინავე საწარმოთა მუშებმა და ინჟინერ-ტექნიკოსებმა.

ქუთაისის საწარმოთა კოლექტივები გულდასმით მოემზადნენ 1949 წლის საწარმოო დავალებათა შესრულების უზრუნველსაყოფად. მათ მტკიცედ გადაწყვიტეს სოციალისტური შეჯიბრების შემდეგომი გაშლის გზით პირველი საწარმოო მიღწევებით აღნიშნონ საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობის გახსნის დღე — 25 იანვარი. ინდუსტრიული ქუთაისის მშრომელთა დიდ შრომითს აღმავლობას სათავეში ჩაუდგნენ პარტიული ორგანიზაციები, რომლებმაც ამას წინათ მოწვეულ მორიგ კონფერენციაზე შეაჯამეს თავიანთი მიღწევები და დასახეს ახალი ამოცანები.

ქვემოთ მოთავსებული წერილები მოგვითხრობენ ქუთაისის მშრომელთა წარმატებებზე.

სოციალისტური დაგროვების გაღიდებისათვის მოწინავე მებრძოლნი

ფრიად მნიშვნელოვანი საწარმოა ქუთაისის სამთო მანქანათმშენებელი ქარხანა, რომელმაც დიდი ოქტომბრის 31-ე წლისთავისათვის გადაკარბებით შეასრულა წლიური გეგმა. ეს ქარხანა შახტებისათვის ამზადებს ელექტრომავლებს, ტრანსპორტერებს და ლენთონის სხვა კონსტრუქციებს. ქარხანაში ფართოდ არის გაშლილი ბრძოლა შრომის ნაყოფიერების ზრდისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის. ამის შედეგად მან შარშან სამშობლოს მისცა 1.300.000 მანეთის ზეგეგმითი დაგროვება. ამ წარმატებებს დიდად შეუწყო ხელი წარმოების მექანიზაციამ და შრომის კარგმა ორგანიზაციამ. ქარხანაში ფართოდ არის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება.

სტალინის სახელობის რაიონის ჰიდროელსადგურმა 1948 წლის გეგმა 23 ნოემბრისათვის შეასრულა და ასეული ათასობით კილოვატსაათი ელექტროენერგია გამოიმუშავა. მოსკოვის მოწინავე საწარმოთა კოლექტივების მოწოდებას ფართოდ გამოეხმაურნენ რიონჰესის მუშა-მოსამსახურენი. მარტო ათი თვის განმავლობაში სადგურის ზეგეგმითი დაგროვება 410.000 მანეთს შეადგენს. რიონჰესელები ჩაბმული არიან სოციალისტურ შეჯიბრებაში ზაჰესელებთან, ხრამჰესელებთან და კანაკირჰესელებთან. ფართოდ არის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება სამეურნეოს, ბრიგადებსა და ცალკეულ მუშებს შორის. მესამე კვარტალის მუშაობის შედეგების მიხედვით რიონჰესმა გამარჯვება მოიპოვა საქართველოში მოქმედ ჰიდროსადგურებს შორის. ამისათვის მას ჰიდროელსადგურების მუშაკთა პროფესიული კავშირის რესპუბლიკური კომიტეტისა და საქენერგოს გარდამავალი წითელი დროშა გადაეცა.

ქუთაისის ლიტოპონის ქარხანა მოწინავე საწარმოთა რიგებშია. მან ვადამდე გაანაღდა წლიური დავალება, ამასთან 5,4 პროცენტით გაზარდა შრომის ნაყოფიერება და 9 პროცენტით შეამცირა თვითღირებულება. ამ ქარხნის ზეგეგმითი დაგროვება 1.337.000 მანეთს უდრის. 1948 წელს ქარხანაში განხორციელდა 12 რაციონალიზატორული წინადადება, რის შედეგადაც მიღებულია 221.000 მანეთი ეკონომია.

დღითი-დღე აუმჯობესებს პროდუქციის ხარისხს ქუთაისის საკონსერვო ქარხნის მუშათა კოლექტივი. ქარხანამ გასული წლის დავალება 7 ნოემბრისათვის შეასრულა. აქ ფართოდ არის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება, სისტემატურად მოწმდება შეჯიბრების შედეგები, განუხრელად იზრდება სტახანოველთა რიგები.

აბრეშუმის კომბინატმა ნაყოფიერად იმუშავა 1948 სამეურნეო წელს და საერთო პროდუქციის გამოშვების თერთმეტი თვის გეგმა 101,8 პროცენტით შეასრულა. გეგმის გადამეტებით გამოშვებულია დიდძალი აბრეშუმისა და ბამბის ქსოვილი. გეგმის წარმატებით შესრულებასთან ერთად კომბინატმა 1947 წელთან შედარებით საგრძნობლად გაზარდა საერთო პროდუქციის გამოშვება, ხოლო ომამდელ დონეს ჯერ კიდევ 1946 წელს გადააჭარბა. კომბინატში მნიშვნელოვანი მუშაობა წარმოებს ასორტიმენტის შემდგომი გაფართოებისათვის. აქ შესამჩნევად გაუმჯობესდა ბრძოლა შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და თვითღირებულების შემცირებისათვის. რაციონალიზატორული წინადადებათა განხორციელებით 1948 წლის ბოლოსათვის კომბინატში მიღწეულია 421.500 მანეთის ეკონომია.

მაუდის ფაბრიკის კოლექტივმა გასული წლის 11 თვეში საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა 108,8 პროცენტით შეასრულა. ტექნოლოგიური რეჟიმის მტკიცედ დაცვით გამოშვებული პროდუქციის 89,4 პროცენტი პირველი ხარისხისაა. ფაბრიკამ ჩვენს ქვეყანას მისცა 738.000 მანეთი ზეგეგმითი დაგროვება.

ქუთაისის სამკერვალო ფაბრიკამ 1948 წლის გეგმა 30 ოქტომბრისათვის შეასრულა. ფაბრიკაში ფართოდ არის გაშლილი ბრძოლა მომჭირნეობის რეჟიმისათვის, რის შედეგადაც 1948 წლის დამლევისათვის ფაბრიკას ჰქონდა 1.186.000 მანეთის ეკონომია.

ქუთაისის საწარმოებმა მნიშვნელოვნად გადააჭარბეს პროდუქციის გამოშვების დარგში ომამდელ დონეს. 1940 წელთან შედარებით წელს ქუთაისის მრეწველობამ მარტო 11 თვის განმავლობაში 44.900.000 მანეთზე მეტი საერთო პროდუქცია მოგვცა.

მ. თუშიშვილი

მოსახლეობის კეთილდღეობისათვის

ქუთაისის პარტიული და საბჭოთა ორგანოები მუდამ განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ ქალაქის კეთილმოწყობასა და მოსახლეობის კომუნალური მომსახურების გაუმჯობესებას. განსაკუთრებით ბევრი გაკეთდა წელს. მარტო მიმდინარე წლის ათ თვეში კეთილმოწყობის სამუშაოებს სამ მილიონ მანეთზე მეტი მოხმარდა.

მოკირწყლული და მოასფალტებულია მრავალი ათასი კვადრატული მეტრი ქუჩა. ქალაქის შწვანე ნარგავების ფონდს შეემატა ათეულ ათასობით ძირი მარად შწვანე და დეკორაციული მცენარეები, აგრეთვე ყვავილნარები. ტყის დღესთან დაკავშირებით ქალაქში დარგეს 100 ათას ძირამდე მცენარე.

ქალაქის შშვენებაა სტალინის სახელობის ცენტრალური საქალაქო მოედანი, რომლის ცენტრში ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 31-ე წლისთავზე გაიხსნა დიდი სტალინის შესანიშნავი მონუმენტი. მალე დამთავრდა პარაზის კომუნის სახელობისა და ვაგზლის მოედნების რეკონსტრუქცია. ცენტრალური მოედნის მოწყობამ და არსებული მოედნების რეკონსტრუქციამ მთლიანად შეუცვალა სახე ქალაქს, ამავე დროს დიდად გაუმჯობესა ტრანსპორტის მოძრაობა.

ქალაქისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ნიადაგსაშვები კოლექტორის მოწყობას სტალინის სახელობის მგზავრთა ტროლეიბუსის ხაზზე, რაც გასულ წელს დამთავრდა.

დამთავრდა ჯაჯვის ხიდის კაპიტალური შეკეთება. მთლიანად შეიცვალა მისი სავალი ნაწილი და ტროტუარები. ნაწილობრივ შეკეთდა წითელი ხიდიც. უახლოეს დროში დასრულდება თეთრი ხიდის რეკონსტრუქცია, რომლის გამტარუნარიანობა ვერ აკმაყოფილებდა მოთხოვნილებას და არ შეესაბამებოდა სტალინის სახელობის რეკონსტრუირებულ ქუჩას.

საგრძნობი წარმატებებია მოპოვებული მოსახლეობის კომუნალური მომსახურების გაუმჯობესებისა. თვალსაჩინოდ გაუმჯობესდა ქალაქის მოსახლეობისათვის წყლის მიწოდება. ქალაქი ამჟამად დღე-ღამეში იღებს ერთი მესამედით იმაზე მეტ წყალს, ვიდრე 1947 წელს იღებდა. მიუხედავად ამისა, წყლის ეს რაოდენობაც ქუთაისისათვის საკმარისი არ არის. ქალაქში წყლის ნაკლებობის თავიდან აცილების მიზნით შენდება ფარცხანაყანევის ახალი ძლაური წყალსადენი და მიმდინარეობს წყალსადენის არსებული ქსელის გაფართოება. ამ სამუშაოებში დიდ შრომითს მონაწილეობას იღებს მოსახლეობა.

წინა წლებთან შედარებით უკანასკნელ ხანებში საგრძნობლად გაუმჯობესდა კომუნალური მეურნეობის მთელი რიგი სხვა საწარმოების მუშაობაც, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი. საჭიროა გაძლიერდეს საბინაო ფონდის შეკეთება, გაუმჯობესდეს ქალაქის დასუფთავება, მეტი ყურადღება მიექცეს აბანოების ქსელის გაფართოებას და სპარეკმახერეობის მუშაობის მოწესრიგებას. კომუნალური მეურნეობის ორგანოებმა — საბინაო სამმართველომ, ტრესტებმა და სარემონტო კანტორებმა მიმდინარე წელს უკეთესად უნდა იმუშაონ ქალაქის მშრომელების მოთხოვნილებათა და საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად.

ს. თევდორაძე

არ არის არც ერთი ქალაქი საბჭოთა კავშირში, რომელსაც კაცობრიობის დიდი ბელადის ანსამბლი ი. ბ. სტალინის მონუმენტი არ აშშენებდეს.

ამას წინათ ქუთაისში სტალინის სახელობის მოედანზე დაიდგა ი. ბ. სტალინის მონუმენტი, რომლის ავტორია ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე მოქანდაკე შ. მიქატაძე.

მონუმენტის ავტორის მიზანს შეადგენდა გადმოეცა ჩვენი ეპოქის უდიდესი ადამიანის შთაგონებული სიბრძნე, სიდინჯე და ფილადელფიური სიმტკიცე. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მოქანდაკემ მიაღწია მიზანს და შეიქმნა დიადი მონუმენტური ქმნილება.

თეთრი ეკლარის ქვის ხუთმეტრიანი ფიგურა დადგმულია 10 მეტრი სიმაღლის ტრიბუნა-კვარცხლბეკზე.

ფოტო კლ. გინზბურგისა

მოწინავე აღამიანები

ათეულათასობით ჰყავს ქუთაისს მოწინავე ადამიანები, იმათი შთამომავალნი, ვინც მეფის ხელისუფლების სუსხიან ხანაში მშრომელებს თავისუფლების მზის ამოსვლის იმედს უნერგავდა, ვინც რაზმავდა ხალხს საუკეთესო შვილებს ექსპლუატაციის, ძალმომრეობისა და ჩაგვრის მოსასპობად. ქუთაისშიაც ისმოდა ყიელი თავისუფლებისათვის მებრძოლებისა. მათ აღაფრთოვანებდათ რევოლუციის დიდი შემოქმედი, კაცობრიობის უდიდესი ადამიანი, ჩვენი ბელადი, ჩვენი მამა და მასწავლებელი ამხანაგი სტალინი.

ათეულათასობით ჰყავს ქუთაისს მოწინავე ადამიანები, ისინი, რომლებისთვისაც შრომა სათაკილო და ძმიმე ტვირთისაგან, როგორადაც მას თვლიდნენ წინათ, იქცა „ღირსების საქმედ, დიდების საქმედ, სიმამაცისა და გმირობის საქმედ“.

მარტო აბრეშუმსაქსოვ კომბინატში— ქუთაისის ერთ-ერთ დიდ საწარმოში 858 მოწინავე ადამიანი ჰყავთ. მათ შორის ბევრია სოციალისტური შრომის შესანიშნავი ოსტატი, ნოვატორი. ბაბილინა ნიკოლეოზეული ერთი მათგანი. მან 1948 წლის გეგმა 7 ნოემბრისათვის გაანღდა და მოგვცა მხოლოდ მაღალხარისხოვანი პროდუქცია. კომბინატის სახელოვანმა ადამიანმა ფ. ცინანეძმ წლიური გეგმის გადამეტებით მისცა სამშობლოს 600 მეტრი პირველხარისხოვანი ქსოვილი. ასევე შესანიშნავად მუშაობენ მ. კუპატაძე, თ. ლიპარტიანი, გ. გაჩეჩილაძე და სხვები, რომლებიც წინ წევენ წარმოებას, ამრავლებენ სახალხო დოვლათს, ზრდიან საბჭოთა ხალხს კეთილდღეობას.

მაუდის ფაბრიკა ქუთაისის ის ისტორიული საწარმოა, რომელიც გამარჯვებულ ქართველ ხალხს პირველ საჩუქრად გამოუტზავნეს მომმე დიდი რუსეთის მშრომელებმა. ეს იყო საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ ხანებში. მას შემდეგ ფაბრიკა გაფართოდა, გადიდდა და საქართველოს საფეიქრო მრეწველობის კადრების პირველ სამკედლოდ გადაიქცა. ამ ფაბრიკაში განსაკუთრებით გაითქვეს სახელი ხალიჩების საქსოვი საამქროს მუშებმა, რომელიც მათი წრიდან დაწინაურებული ჯ. ზაქარიაძე ხელმძღვანელობს. საამქროს ხალიჩების ქსოვის წლიური დავალება 8 თვეში მოთავა და მას შემდეგ პროდუქციის იძლევა 1949 წლის ანგარიშში. ამ ფაბრიკაში მუშაობენ მთელ ქალაქში სახელგანთქმული სტახანოველები — საპატარტო საამქროს უფროსი ოსტატი ტ. გვარამაძე, მეხრახნე თ. ქავზანაძე, მესოველი თ. ჩხენკელი და მრავალი სხვანი.

კიროვის სახელობის სამკერვალო ფაბრიკაში 330-მდე საუკეთესო სტახანოველი ჰყავთ. მ. ჩიხლაძე, ვ. გუბელაძე ამ ფაბრიკის კოლექტივის დამამშვენებლები და მაღალნაყოფიერი შრომის საუკეთესო ოსტატები არიან.

ასევე ამაყობენ თავიანთი მოწინავე ადამიანებით ლიტოპონის ქარხნის, რიონჰესის, საკონსერვო ქარხნის, ტყავფეხსაცმლის კომბინატის, საკონდიტრო ფაბრიკისა და მთელ რიგ სხვა საწარმოთა კოლექტივები. ამ საწარმოთა მოწინავენი შ. ტყეშალაძე, ნ. ხარაბაძე, ე. კოსტავა, თ. შავგულიძე და მრავალი სხვანი ამშვენებენ ქუთაისელ სტახანოველთა რიგებს.

ქუთაისი ფართოვდება, იზრდება, კიდევ ცოტა ხანი, და აქ სრული სიმძლავრით ამუშავდება ქართული ავტომობილის დიდი ქარხანა, სადაც მრავალი ათასი მუშა და ინჟინერ-ტექნიკოსი იმუშავებს. წელს ეს ქარხანა უკვე მისცემს სამშობლოს ახალი მარკის სპორტული ავტომობილების პირველ ნაკადს.

საავტომობილო ქარხანაში ამოქმედდნენ მთელი რიგი საამქროები; ახალგაზრდა ავტომობილმშენებლები უკვე შეუდგნენ საავტომობილო დეტალების მასობრივად, სერიულად დამზადებას. ამ საქმეში უკვე დაწინაურდნენ ქართული ავტომობილის მკეთებელთა პიონერები—გ. მარდალეიშვილი, გ. ბურჭულაძე, ნ. კუპრაშვილი და მრავალი სხვანი.

ქუთაისის ინდუსტრიულ პეიზაჟს ამშვენებს კიდევ ერთი ახალი საწარმო — ქუთაისის სამთო მანქანათმშენებელი ქარხანა, რომელსაც ადგილობრივმა მუშებმა სახელი გაუმარტივეს, „მაღაროელი“ უწოდეს. აქაც ბლომად ყავთ მოწინავე ადამიანები, რთულ სამთამადნო მოწყობილობათა ოსტატები...

აღარ არის ძველი ქუთაისი. მის ადგილზე ახალი ქალაქია, ინდუსტრიული ქუთაისი თავის შესანიშნავ ადამიანთა, შრომის ფრონტზე დაწინაურებულ სახელოვან სტახანოველთა მთელი არმიით.

ბ. მეფისაშვილი

გერმანიის სახალხო საბჭოს პროტესტი რურის საკითხზე ლონდონის კონფერენციის გადაწყვეტილების წინააღმდეგ

ბერლინი, 1 იანვარი. (საკდესი). გერმანიის სახალხო საბჭოს პრეზიდიუმმა გამოაქვეყნა განცხადება რურის საკითხზე 6 დასავლეთი ქვეყნის ლონდონის კონფერენციის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით. განცხადებას ხელს აწერენ გერმანიის სახალხო საბჭოს თავმჯდომარეები ვილჰელმ პიკი, ოტო ნუშკე და გერმან კასტნერი.

გერმანელ ერს კიდევ ერთი მძიმე ლახვარი ჩასცეს, ნათქვამია განცხადებაში. 28 დეკემბერს გამოცხადებული რურის სტატუტი გერმანიის ეკონომიკის გულს სწყვეტს დანარჩენ გერმანიას. ჩვენი ხალხისათვის წართმეული რურის ოლქი ამერიკის დიქტატში ექცევა.

ნაცვლად იმისა, რომ საომარი მოქმედების შეწყვეტის ოთხი წლის შემდეგ გერმანელ ხალხს დაბრუნებოდა მისი ერთიანობა და მისცემოდა დიდი ხნის ნანატრი სამართლიანი მშვიდობა, „მარშალის გეგმის“ პოლიტიკამ გამოიწვია დასავლეთ გერმანიის სეპარატული სახელმწიფოს შექმნა, დასავლეთი გერმანიისათვის საოკუპაციო სტატუტის მომზადება და, ბოლოს რურის ოლქის ჩამოშორება და მისი გადაქცევა რურის სახელმწიფოდ ამერიკის მონოპოლური კაპიტალის ბატონობით...

რურის ოლქი, რომელიც წინათ ვილჰელმ II და ჰიტლერის ომების სამჭედლო იყო, ახლა დოლარის იმპერიალიზმის სამხედრო არსენალი უნდა გახდეს.

ომის დანაშაულებრივ გეგმას ემსახურება აგრეთვე დასავლეთი გერმანიის რემილიტარიზაცია. საქმე ეხება საბჭოთა კავშირის ხალხებისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ ომის მზადებას. ამასთან ერთად საქმე ეხება დასავლეთი ევროპის ხალხების დამონებას ამერიკის იმპერიალიზმის მიერ, რომელსაც რურზე თავისი ბატონობის დამყარების გზით სურს ეს ხალხები სავსებით დამოკიდებული გახადოს ამერიკაზე და ისინი ომის გეგმებში ჩაითრიოს.

გერმანიის სახალხო საბჭოს პრეზიდიუმი გერმანელი ხალხის სახელით კატეგორიულ პროტესტს აცხადებს იმპერიალისტთა ძალადობის წინააღმდეგ, რომლებიც ფეხქვეშ თელავენ საერთაშორისო სამართლის ყოველგვარ ნორმას. იგი მთელ გერმანელ ერს მოუწოდებს გერმანელი ხალხის არსებობისათვის მომაკვდინებელი საფრთხის წინაშე გააძლიეროს წინააღმდეგობა გამთიშველებისა და ომის გამჩაღებლების მიმართ.

გერმანიის სახალხო საბჭოს პრეზიდიუმმა იცის, რომ იგი ამ საქმეში მოქმედებს მთელი მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ძალებთან ერთად...

დასავლეთ გერმანიის პარტიების ლიდერთა გამცემლურმა ხრიკებმა გერმანელი ხალხის ეროვნული ინტერესების წინააღმდეგ თავისი გავლენა მოახდინეს. შუმახერული ჯაშუშური ცენტრის შავბედითმა მოღვაწეობამ ჰანოვერში ადენაუერის გარშემო შემოკრებილ სეპარატისტულ წრეებთან ერთად დიდად შეუწყო ხელი გერმანიის დანაწილებას.

გერმანიის სახალხო საბჭოს პრეზიდიუმი ამ მომენტში უფრო მტკიცედ, ვიდრე ოდესმე, მოითხოვს შეიქმნას მთელი გერმანიის მთავრობა, აღდგეს გერმანიის ერთიანობა, ერთიანი კონსტიტუცია მთელი გერმანიისათვის, გერმანიასთან დაიდოს დემოკრატიული ზავი და გაყვანილ იქნას საოკუპაციო ჯარები არა უგვიანეს ერთი წლისა საზავო ხელშეკრულების დადების შემდეგ.

პოლონეთის მიწათმოქმედების მინისტრის განცხადება

ვარშავა, 3 იანვარი. (საკდესი). გაზეთები აქვეყნებენ მიწათმოქმედების მინისტრის იან დომბ-კოტიოლის განცხადებას 1948 წელს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა შედეგებისა და 1949 წლის ამოცანების შესახებ.

როგორც მინისტრმა განაცხადა, გასულ წელს პოლონეთში დაითესა 14.264 ათასი ჰექტარი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 13.900 ათასი ჰექტარისა, რაც შეადგენს 102,6 პროცენტს.

ნათესი ფართობის გადიდებას მნიშვნელოვანწილად შეუწყო ხელი სოფლის მეურნეობის მექანიზაციამ. ორი წლის წინათ პოლონეთში 405 მანქანათდასაქირავებელი სადგური იყო. 1948 წლის გეგმით გათვალისწინებული იყო სადგურთა რაოდენობის გადიდება 1.510-მდე. მაგრამ უკვე მესამე კვარტალის დამლევისათვის გვქონდა 1.687 სადგური. წელს სადგურთა რაოდენობა უფრო გადიდდება.

ხორბლის მოსავლიანობამ 1948 წელს ომამდელ დონეს მიაღწია, ხოლო ჭვავის მოსავლიანობამ ომამდელს გადააჭარბა.

მინისტრმა აღნიშნა სოფლის მეურნეობისათვის ხელოვნური სასუქის მიწოდების გადიდება და განაცხადა, რომ ამჟამად პოლონეთის სოფლის მეურნეობის უმნიშვნელოვანესი ამოცანა არის მეცხოველეობის განვითარება. ზოგიერთი სახის პირუტყვის სულადობის მნიშვნელოვანი მატების მიუხედავად, მეცხოველეობა ჯერ კიდევ ჩამორჩება პოლონეთის მზარდ მოთხოვნილებას. 1948 წელს წინა წელთან შედარებით პირუტყვის სულადობა გადიდდა 22 პროცენტით, ღორისა — 11 პროცენტით.

1949 წელს მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობა გადიდდება 38 პროცენტით, ღორისა — 41 პროცენტით. მეცხოველეობის განვითარებისათვის წელს ასიგნებულია 5,2 მილიარდი ზლოტი.

მინისტრმა აღნიშნა აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის მნიშვნელოვანი ამაღლება სახელმწიფო მამულებში; ამ კულტურების მოსავლიანობა აქ გადიდდა 85 პროცენტით, ზეთოვანი კულტურებისა კი — 200 პროცენტით.

პროტესტი ინგლისის პარლამენტის წევრობის კანდიდატად ბევინის დასახელების წინააღმდეგ

ლონდონი, 4 იანვარი. (საკდესი). „დეილი უორკერი“ იუწყება, რომ ყოფილი მერი, ხოლო ამჟამად ვულიჯის საქალაქო საბჭოს წევრი, აგრეთვე ლონდონის საგრაფოს საბჭოს წევრი ედვინ ტ. ლამერტონი ლეიბორისტული პარტიის შემადგენლობიდან გავიდა ნიშნად პროტესტისა ისტ ვულიჯის საარჩევნო ოლქისაგან პარლამენტის წევრობის კანდიდატად ბევინის დასახელების წინააღმდეგ. ლამერტონი აღნიშნავს, რომ ბევინის კანდიდატურა დასახელებული იყო ლეიბორისტული პარტიის წესდების დარღვევით.

ლამერტონმა განაცხადა, რომ ისტ ვულიჯის ადგილობრივ ორგანიზაციებს ნება არ დართეს დაესახელონ პარლამენტის თავისი კანდიდატები. „მე,—განაცხადა ლამერტონმა,—არ ვაპირებ უბრალო დამტკამავი მანქანა ვიყო. მე ვერ შევურიგდი პარტიის წესდების დარღვევას და პარლამენტის წევრობის კანდიდატად ასეთი შეუფერებელი სიჩქარით ბევინის დასახელებას“.

ლეიბორისტული პარტიის ადგილობრივი ორგანიზაციის მდივანმა მაბელ კროუტმა გაზეთ „დეილი უორკერის“ კორესპონდენტს აცნობა, რომ ამ საარჩევნო ოლქისაგან კანდიდატად ბევინის დასახელება დამტკიცებული იყო ტრანსპორტ ჰაუზის მიერ (ლეიბორისტული პარტიის შტაბ-სადგომი).

ცენტრალური უონდსუორტის საარჩევნო ოლქი, რომლისაგანაც ბევინი არჩეულია თემთა პალატაში, ლიკვიდირებულ იქნა საარჩევნო ოლქების ხელახლად განაწილებისას, რაც ამას წინათ პარლამენტმა დაამტკიცა.

ვილე პესის განცხადება

ჰელსინკი, 4 იანვარი. (საკდესი). „ტიუეკანსან სანომატმა“ გამოაქვეყნა ფინეთის კომპარტიის გენერალური მდივნის ვილე პესის შემდეგი განცხადება:

„ფინეთის კომუნისტური პარტია ახალ წელში შედის ლოზუნგით „ჩვენი ქვეყნის პოლიტიკა უნდა შეიცვალოს“. მე მგონია, რომ ეს ლოზუნგი სავსებით შეესაბამება ფინელი ხალხის ძირითად ინტერესებს. ახლანდელი მთავრობის პოლიტიკა ჩვენთვის დამღუპველი აღმოჩნდა ახლანდელი ეკონომიური მდგომარეობა უარესდება. ამავე დროს ხდება სულ უფრო დიდი გადახვევა დემოკრატიული საშინაო და მშვიდობიანი საგარეო პოლიტიკის გზიდან. ამიტომ მოსახლეობის სულ უფრო ფართო ფენები რწმუნდებიან, რომ საჭიროა ცვლილება. ჩვენს ქვეყანას შეუძლია წარმატებით იაროს წინ მხოლოდ ისეთი დემოკრატიული თანამშრომლობის ბაზაზე, რომელიც ემყარება ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის მშრომელი ფენების ინტერესებსა და მისწრაფებას. რაც უფრო მალე გადავალთ ამ პოლიტიკაზე, მით უკეთესია“.

მიტინგი ლონდონში გაზეთ „დეილი უორკერის“ მე-19 წლისთავის აღსანიშნავად

ლონდონი, 3 იანვარი. (საკდესი). გუშინ ლუიშემის (ლონდონის სამხრეთ-აღმოსავლეთი რაიონი) საქალაქო რატუშაში შედგა ხალხმრავალი მიტინგი გაზეთ „დეილი უორკერის“ პირველი ნომრის გამოსვლის მე-19 წლისთავის აღსანიშნავად. მიტინგზე გამოვიდნენ პარლამენტის წევრი კომუნისტი პირეტინი, გაზეთ „დეილი უორკერის“ რედაქტორი უილიამ რასტი და ინგლისის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი ჰარი პოლიტი.

პირეტინი თავის სიტყვაში შეეხო ინგლისის „ოთხწლიან გეგმას“ და აღნიშნა, რომ ეს „გეგმა“ წელიწადნახევრის კონკრეტულ პერსპექტივასაც კი არ იძლევა. „ეს არის ლოცვა და არა გეგმა“, —განაცხადა მან და შეადარა იგი იმ ქვეყნების გეგმებს, რომლებიც ევროპის მეორე მხარეზე იმყოფებიან, სადაც პროგრამა შეიძლება შედგენილ იქნას 15 წლით ადრე და კიდეც განხორციელდება. ეს მათთვის ხელმისაწვდომია, თქვა პირეტინმა, იმიტომ რომ ისინი დარწმუნებული არიან პროგრესსა და მომავალში.

ინგლისის კომკავშირის სახელით გამოსულმა ივი კუპერმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ინგლისელ ახალგაზრდობაში უმუშევრობა მატულობს, საბინაო პირობები იმდენად ცუდია, რომ ყოველ შვიდ დაქორწინებულთაგან ბინა შეუძლია მხოლოდ ორმა მიიღოს. „ჩვენ გვსურს გვქონდეს სახლები და არა ბომბდამშენები!“—განაცხადა მან.

„დეილი უორკერის“ რედაქტორმა რასტმა განაცხადა, რომ სამი წლის განმავლობაში გაზეთისათვის 250 ათასი გირვანქა სტერლინგი შეგროვდა. როცა გაზეთის ფასი გადიდდა, გასავრცელებელი ცალების რაოდენობა, შემცირების ნაცვლად, გადიდდა.

რასტმა თქვა, ლეიბორისტული მთავრობა არავის განსაკუთრებულ ენთუზიაზმს არ იწვევსო, და განაგრძო: „ლეიბორისტული მთავრობა ვერ სწვდება ხალხის გულს, იმიტომ რომ მის პროგრამაში სოციალიზმი არ არის“.

რასტმა კომენტარი გაუკეთა კრიპსის განცხადებას იმის შესახებ, რომ ინგლისს შეუძლია სამი წლის შემდეგ დადგეს „საკუთარ ფეხზეო“, და გაიმეორა წინანდელ მიტინგზე მუშების რეპლიკა — „დიახ, შიშველ ფეხზეო“. მთავრობის პოლიტიკა, აღნიშნა რასტმა, არის პოლიტიკა მრეწველობის ორგანიზაციისა სახელმწიფო კაპიტალიზმის სულისკვეთებით პლუს მონურად მიღება ამერიკული დოლარებისა, რომლებსაც იძლევიან ამერიკის სამხედრო პოლიტიკისათვის მხარდაჭერის პასუხად.

ჰარი პოლიტმა განაცხადა, რომ კომუნისტებს დევნიან, მაგრამ, მიუხედავად ამისა, კომუნიზმი იზრდება და მისი გავლენა დღითი დღე ფართოვდება.

დასასრულ პოლიტმა განაცხადა: „ჩვენ ვიძლევით იმის გარანტიას, რომ ეს საუკუნე არასოდეს არ იქნება ამერიკის საუკუნე, არამედ კომუნიზმის საუკუნე გახდება!“ პოლიტმა თავისი სიტყვა ტაშის გრიალში დაამთავრა.

კაშმირში შეწყდა საომარი მოქმედება

ლონდონი, 3 იანვარი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი დელიდან გადმოგვცემს, ინდოეთის არმიის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ინდოეთისა და პაკისტანის მთავრობებს შორის შეთანხმების შესაბამისად გუშინ ჯამუსა და კაშმირის სამთავროში ყველა ფრონტზე შეწყდა საომარი მოქმედება.

დანიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განცხადება

კოპენჰაგენი, 3 იანვარი. (საკდესი). გაზეთმა „ლანდოგ ფოლკმა“ გამოაქვეყნა დანიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის განცხადება, სადაც ნათქვამია: „მშვიდობისა და დანიის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში დანიის კომუნისტური პარტია გაილაშქრებს იმ ცდების წინააღმდეგ, რომ ჩვენი ქვეყანა ეგრეთწოდებული ჩრდილოეთის კავშირის მეშვეობით ან უშუალოდ ჩაითრიონ რაიმე სამხედრო ბლოკში, რომელსაც ამერიკელი იმპერიალისტები მეთაურობენ.

კომუნისტური პარტია მილიტარიზაციისა და გამაღებული შეიარაღების წინააღმდეგია, და ამიტომ რიკსდაგში იგი ხმას მისცემს ისეთი საჭიროებისათვის ასიგნობათა წინააღმდეგ, რომელსაც დანიის თავდაცვასთან საერთო არა აქვს რა.

დანიის ცალმხრივმა ეკონომიურმა ორიენტაციამ დასავლეთზე და „მარშალის გეგმასთან“ შეერთებამ უკვე გამოიწვია საბედისწერო შედეგები: უმუშევრობის ზრდა, ფასების გადიდება, საბინაო მშენებლობის შემცირება. მხოლოდ ამ პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლით შეძლებს ხალხი მიაღწიოს ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას, შეძლებს წინააღმდეგობა გაუწიოს კრიზისებს მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, ვაჭრობასა და წვრილ წარმოებაში.

დანიის კომუნისტური პარტია ფასებისა და მომარაგების დარგში მოითხოვს ისეთ პოლიტიკას, რომელიც მოსახლეობის ფართო ფენების ინტერესთა შესაფერისი იქნება. უწინარეს ყოვლისა იგი მოითხოვს, რომ მნიშვნელოვნად შეუმსუბუქდეს საგადასახადო ტვირთი ყველა მშრომელს და განსაკუთრებით მოსახლეობის ღარიბ ფენებს.

ჩვენ მოვუწოდებთ დანიის დემოკრატიულ და პროგრესულ ძალებს გაერთიანდნენ მშვიდობისა და დანიის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში, ცხოვრების უკეთესი პირობებისათვის ბრძოლაში“.

ინდონეზიის ამბები

ლონდონი, 4 იანვარი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი ბაღდადიდან გადმოგვცემს, ერაყის მთავრობამ, ინდონეზიაში ჰოლანდიის აგრესიის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად, შესაძლებელია უარი თქვას ირანის დამრევ განახლოს შეთანხმება, რომლითაც ჰოლანდიის სავიაციო კომპანიას „როიალ დაჩ ერლაინს“ ნება ეძლევა ისარგებლოს ერაყის აეროდრომებით.

მდგომარეობა პალესტინაში

ნიუ-იორკი, 3 იანვარი. (საკდესი). იუნაიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ტელ-ავივიდან გადმოგვცემს, რომ, მიუხედავად გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გრძანებისა პალესტინაში საომარი მოქმედების შეწყვეტის შესახებ, 1 იანვარს დილით ადრე ისრაელის სახელმწიფოს დედაქალაქზე იერიში მიიტანეს ჰაერიდან და ზღვიდან. საჰაერო თავდასხმის შედეგად ჩამოყრილია სულ ცოტა 100 ბომბი.

ისრაელის სახელმწიფოს არმიის სარდლობის კომუნიკეში ნათქვამია, რომ მტრის ორმა გემმა სროლა აუტეხა სანაპიროს ტელ-ავივის ახლო, მაგრამ ვერავითარი ზიანი ვერ გამოიწვია.

ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს ტელავიველი კორესპონდენტი მოსაზრებას გამოთქვამს, რომ გემები, რომლებმაც სანაპიროს სროლა აუტეხეს, ეგვიპტისა იყო.

ჰოლანდიის პრემიერ-მინისტრის ინდონეზიაში გამგზავრების გამო

ჰააგა, 4 იანვარი. (საკდესი). ჰოლანდიის პრემიერ-მინისტრი დრეისი გუშინ დილით ინდონეზიაში უნდა გამგზავრებულიყო. მაგრამ მგზავრობა გადაიდო იმის გამო, რომ ინდოეთმა და აზიის სხვა ქვეყნებმა, ინდონეზიაში ჰოლანდიის აგრესიის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად, უარი თქვეს თავის ტერიტორიებზე გაეშვათ დრეისის თვითმფრინავი. გაზეთების ცნობით, ჰოლანდიის მთავრობამ ინდოეთს მიმართა თხოვნით გაეშვა პრემიერ-მინისტრის თვითმფრინავი, მაგრამ ეს თხოვნა არ დააკმაყოფილეს. გაზეთები იუწყებიან აგრეთვე, რომ ინგლისმა ინდოეთს ურჩია გაეშვა დრეისის თვითმფრინავი.

დაიხურა საფრანგეთის პარლამენტის სესია

პარიზი, 3 იანვარი. (საკდესი). 2 იანვარს ღამით დაიხურა საფრანგეთის პარლამენტის სესია, რომელიც 11 იანვარს განახლდება. ეროვნული კრებისა და რესპუბლიკის საბჭოს უკანასკნელი სხდომები მიეძღვნა ბიუჯეტის განხილვას. მთავრობის უმრავლესობის პარტიებმა ყოველი ღონე იხმარეს, რომ პარლამენტს დაემტკიცებინა კრედიტები სამხედრო მიზნებისათვის, და სხვადასხვა მუხლებში დამალეს ნაწილი უდიდესი თანხებისა, რომლებიც საფრანგეთმა უნდა დახარჯოს დასავლეთ სამხედრო ბლოკში მონაწილეობასთან დაკავშირებით. ოფიციალურად სამხედრო ხარჯების საერთო თანხა დამტკიცებულ იქნა 350 მილიარდი ფრანკის რაოდენობით. მაგრამ ბევრმა დეპუტატმა ეროვნული კრების სხდომაზე ამხილა მთავრობის მანევრი. მაგალითად, გენერალმა ჟუანვილმა (კომუნისტი) განაცხადა, რომ სულ მცირე 150 მილიარდი ფრანკი, რაც განკუთვნილია სამხედრო ხარჯებისათვის, დამალულია სხვადასხვა სამოქალაქო უწყების ბიუჯეტებში. მაგრამ, მიუხედავად ამ უდიდესი კრედიტებისა, თქვა მან, ჩვენ მოწმენი ვართ საფრანგეთის ავიაციისა და ფლოტის დაცემისა, საფრანგეთის იარაღის ქარხნების ფაქტიური ლიკვიდაციისა, მაშინ, როცა ამერიკაში იგზავნება განაცხადები ამერიკული იარაღის მისაღებად. ამავე დროს დიდდება ხარჯები კოლონიური ომის საწარმოებლად.

დეპუტატმა მანდეს-ფრანსმა (რადიკალ-სოციალისტი) განაცხადა: „იმის მტკიცება, რომ სამხედრო ბიუჯეტი 350 მილიარდ ფრანკს უდრის, თაღლითობაა. ფაქტიური ხარჯები 500 მილიარდ ფრანკს გადააჭარბებს“.

„ჩვენ ვაშკარავებთ თქვენს სამხედრო ბიუჯეტს,—მიმართა მთავრობას დეპუტატმა შარლ ტიიონმა (კომუნისტი),—როგორც ისეთ ბიუჯეტს, რაც მიმართულია იმისაკენ, რომ მომზადდეს აგრესიული ომი, რომელსაც თქვენ შეუერთდით. ამ სამხედრო ბიუჯეტისათვის თქვენ პასუხს გასცემთ ერს, რომელმაც დაგგმოთ“.

პარლამენტის სესიის დამთავრება აღინიშნა აგრეთვე დიდი სკანდალით, რაც გამოიწვია საანგარიშო პალატის (სახელმწიფოს საფინანსო კონტროლის უმაღლესი ორგანო) მოხსენებებმა. საანგარიშო პალატამ შეამოწმა ბიუჯეტის შესრულება და ფინანსების მდგომარეობა სხვადასხვა სამინისტროში. საანგარიშო პალატის მოხსენებებმა, რომლებიც გაზეთ „ჟურნალ ოფისიელში“ გამოქვეყნდა და ეროვნული კრების საფინანსო კომისიას წარედგინა, დიდი აურზაური გამოიწვია, ვინაიდან ამ მოხსენებებიდან ცხადი ხდება, რომ სახელმწიფო მოხელეები იტაცებენ სახელმწიფო სახსრებსა და ქონებას.

საანგარიშო პალატის მიერ გამომჟღავნებული ფაქტები ეროვნული კრების მსჯელობის საგანი გახდა. ეროვნული კრების საფინანსო კომისიის წევრმა ტეტჟენმა („სახალხო-რესპუბლიკური მოძრაობის“ პარტიის წევრი) ეროვნულ კრებას აცნობა, რომ, საანგარიშო პალატის მოხსენების თანახმად, არსებობს ფაქტები, რომლებიც მოწმობენ სახელმწიფო ფინანსებსა და სახელმწიფო ქონებაში თაღლითობის ფართო სისტემის არსებობას.

დეპუტატმა ჟაკ დიუკლომ (კომუნისტი) მაგალითებით ცხადყო, რომ უმაღლესი სახელმწიფო მოხელეები, რომლებიც დაკავშირებული არიან კერძო პირებსა და ფირმებთან, სახელმწიფოს ხარჯზე ამ პირებისა და ფირმებისათვის სასარგებლო გარიგებებს აწყობდნენ. 1940 წლის მაისში, განაცხადა დიუკლომ, 742 კილოგრამი ოქრო იტალიის ბანკის მეშვეობით გადაეცა ფირმას, რომელსაც კავშირი ჰქონდა იტალიელ ფაშისტებთან და მხარს უჭერდა მათ. დიუკლომ განაცხადა, რომ ეროვნული თავდაცვის სამინისტროს კაბინეტების ძვირფასი მოწყობილობა, რაც თავის დროზე სახელმწიფო ხარჯზე იყო შეძენილი, სადღაც გაქრა მთავრობიდან დე გოლის წასვლისთანავე. კერძოდ, დაიკარგა მხატვრული ნაწარმოებნი, რომლებიც შეფასებულია მილიონობით ფრანკად, გაქრა ძვირფასი ხალიჩები და ავეჯი, რაც აგრეთვე შეფასებულია მილიონობით ფრანკად.

შემდეგ დიუკლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ სასურსათო მომარაგების სამინისტროში მნიშვნელოვანი რაოდენობის სურსათი იკარგება და დღემდე ნაპოვნი არ არიან ის პირები, რომელთაც პასუხისმგებლობა ეკისრებათ ამისათვის. დიუკლომ მოიხსენია აგრეთვე საქმიანობა ეგრეთწოდებული სააქციო საზოგადოება „სკაპისა“, რომელიც განუწყვეტლივ ზრდის თავის მოგებას და კავშირი აქვს მთავრობის უმაღლეს მოხელეებთან.

ეროვნულმა კრებამ გადაწყვეტილება მიიღო საანგარიშო პალატის მიერ აღმოჩენილ ბოროტმოქმედებათა საკითხი განიხილოს 1 თებერვალს, მას შემდეგ, რაც სპეციალური კომისია სათანადო გამოძიებას მოახდენს.

პარიზის გაზეთები დღეს აღშფოთებას გამოთქვამენ იმ ფაქტის გამო, რომ სახელმწიფო ქონებისა და სახსრების დამტაცებელთა შორის არის მთავრობის ზოგიერთი უმაღლესი მოხელე. ხმები დადის, რომ ზოგიერთ მეტად უმსგავს გარიგებაში ჩარეული არიან მინისტრები. კერძოდ, გაზეთი „ფრან-ტირერი“ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ეროვნულ კრებაში ბევრი ორატორი ლაპარაკობდა მინისტრების პასუხისმგებლობაზე.

დე გოლელი ვაჟბატონების მორიგი პროვოკაცია საფრანგეთში

პარიზი, 3 იანვარი. (საკდესი). დღეს გაზეთი „ლუმანიტე“ იუწყება, რომ ჰავრში რპფ-ის (დეგოლელთა პარტია) შეიარაღებული ჯგუფი თავს დაესხა კომუნისტური პარტიის ბიბლიოთეკის შენობას. „როგორც გერმანიაში ჰიტლერელთა ხელისუფლების დროს,—წერს გაზეთი,—ჰიტლერელთა ურდოები წვავდნენ წიგნებს, ისე ახლა რპფ-ის შეიარაღებულმა ჯგუფმა თავისი ახალი წლის ტერორისტული აქტით დაიწყო. რპფ-ის შეიარაღებული დამრბევნი 1 იანვარს ღამით შეიჭრნენ ჰავრში „საფრანგეთის აღორძინების“ ბიბლიოთეკის შენობაში და ცეცხლი წაუკიდეს წიგნებს. სხვა წიგნებს შორის დაიწვა შატობრიანის, ვიქტორ ჰუგოს და სხვა მრავალ ავტორთა წიგნები. მხოლოდ ერთ-ერთი გამვლელის მეოხებით, რომელმაც თავის დროზე აცნობა ხანძრის გაჩენა სახანძრო რაზმს, შესაძლებელი გახდა, რომ ბიბლიოთეკა გადაერჩინათ სრული მოსპობისაგან. მაგრამ ბიბლიოთეკისათვის მიყენებული ზარალი 200 ათას ფრანკს აღემატება“.

იმპერიალისტურ სახელმწიფოთა საქმიანობა ირანში

თეირანი, 3 იანვარი. (საკდესი). როგორც გაზეთი „ეგდამი“ წერს, ტაგი-ზადე ემზადება იმისათვის, რომ გახდეს ირანის პრემიერ-მინისტრი და განზრახული აქვს მომავალ კაბინეტში ძირითად მინისტრებად მიიწვიოს საედი, ჰაკიმი, ნაჯიმი, აგრეთვე მამაგანი—„ეთეჰადე მილის“ (მეჯლისის პროინგლისური ორიენტაციის დეპუტატთა ჯგუფი) ლიდერი.

გაზეთი „ქესრა“ გადმოგვცემს, რომ რამდენიმე დღის წინათ ამ საკითხზე თათბირი შედგა შაჰის, ტაგი-ზადეს, აგრეთვე ირანში ინგლისის სპეციალური პოლიტიკური აგენტის მის ლამბტონის მონაწილეობით.

გაზეთი „ქიამე ირანი“ აღნიშნავს, რომ თეირანში ევროპიდან დაბრუნდა ჰაკიმი და რომ იგი თითქოს დეპეშით გამოიწვია ტაგი-ზადემ. გაზეთი აგრეთვე წერს, მიღებულია საჭირო გადაწყვეტილებანი, რომ ხელისუფლებას სათავეში ჩაუდგეს „ეფექტიანი“ კაბინეტი და რომ საედი „წინასწარი რეფორმების“ განხორციელების შემდეგ გადადგება, რათა ტაგი-ზადეს დაუთმოს ადგილი.

ხსენებული სამი გაზეთი, რომელთაც ეს ინფორმაცია მოჰყავთ ტაგი-ზადეს კაბინეტის შემნის გეგმებს უკავშირებს ნავთის საკითხს. როგორც გაზეთები „ქიამე ირანი“ და „ქესრა“ წერენ, ტაგი-ზადეს კაბინეტის ამოცანა ის იქნება, რომ ინგლისისა და ინგლის-ირანის ნავთის კომპანიის ინტერესთა შესაბამისად გადაწყვიტოს ნავთის პრობლემა.

„ქიამე ირანი“ ეხება ეგრეთ წოდებულ შვიდწლიან გეგმას და ამტკიცებს, რომ ეტყობა, ამ საკითხზე მიღწეულია შეთანხმება ამერიკის დიპლომატიასა, შაჰის კარსა და ინგლისის დიპლომატიას შორის.

გაზეთი „ქესრა“ შენიშვნაში, რომელსაც სათაურად აქვს „ტაგი-ზადე ცდილობს რეჟიმის შეცვლას“, წერს, რომ ტაგი-ზადეს მიზანია განახორციელოს ინგლისის სურვილები, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ირანში განმტკიცდეს ინგლისის პოზიციები და ამ ქვეყანაში შეიქმნას თურქეთში არსებული რეჟიმის მსგავსი რეჟიმი. როგორც გაზეთი იუწყება, ამ უკანასკნელ დღეებში ტაგი-ზადეს მეგობრები სხვადასხვა წრეში და სხვადასხვა კრებაზე ძლიერ აკრიტიკებდნენ ირანის კონსტიტუციას და ამბობდნენ, საჭიროა მისი გადასინჯვაო.

საქართველოს ხალხური შემოქმედების რესპუბლიკურ სახლთან არსებული ხახვითი ხელოვნების მუზეუმის ერთ-ერთი კუთხე „ხალხური საკრავები“

ფოტო რ. აკოფოვისა

გამოფენა „გორი ახლო მომავალში“

გორი. (საკ. კორ.). კულტურის საზამთრო სახლში გორის ქალაქის საბჭოს აღმასკომმა მოაწყო ქალაქის გენერალური პროექტის საფუძველზე დასურათებული გამოფენა, რომელიც მნახველს წარმოუსახავს, თუ როგორი იქნება ახლო მომავალში ქალაქი გორი. სტალინის სახელობის პროსპექტზე იქნება მუზეუმი, ისტორიული სახლი პავილიონით, ლენინის მონუმენტი, სასტუმრო „ინტურისტი“; მტკვრის ახალი ხიდის წინ—მოედანი, მტკვრის ახალი სანაპირო, მოედანი რკინიგზის ახალი სადგურის წინ, საკონსერვო ქარხნის მუშათა ახალი საცხოვრებელი სახლები და სხვა უმნიშვნელოვანესი ნაგებობანი.

გამოფენას დიდი ინტერესით ნახულობენ გორის მცხოვრებლები და ექსკურსანტები, რომლებიც აქ ჩამოდიან ჩვენი ქვეყნის ყოველი მხრიდან.

სურამის კეთილმოწყობა

სურამი. (საკ. კორ.). თვალსაჩინო ღონისძიებები განხორციელდა დაბა სურამის კეთილმოწყობისათვის. სადაბო საბჭოს აღმასკომის ღონისძიებებით ქუჩის ნაპირებზე გაყვანილია წყლის რუები, შემოღობეს და კულტურულად მოაწყეს დეკორაციული ბაღი, შეკეთდა და მოეწყო საზაფხულო კლუბის შენობა.

სურამის კურორტთა სამმართველომ აქ გასულ წელს ააშენა ახალი სასტუმრო და პოლიკლინიკის შენობა. მშენებლობაზე 530.000 მანეთი დაიხარჯა. კაპიტალური რემონტი გაუკეთდა სურამის ბავშვთა სანატორიუმს. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო აქ აშენებს საშუალო სკოლის შენობას, რომელსაც 38 საკლასო ოთახი ექნება. სკოლის სამშენებლო სამუშაოები ძირითადად დამთავრებულია და ამჟამად მიმდინარეობს შიდასამუშაოები. მშენებლობაზე 980.000 მანეთი დაიხარჯება.

ა. მიცკევიჩის ხსოვნის საღამო

6 იანვარს, საღამოს 8 საათზე, უცხოეთთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების შენობაში (ვოლოდარსკის ქ. № 3) საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირი და უცხოეთთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოება აწყობენ დიდი პოლონელი პოეტის ადამ მიცკევიჩის დაბადების 150 წლისთავისადმი მიძღვნილ საღამოს.

მოხსენებას ადამ მიცკევიჩის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ წაიკითხავს ამხ. მ. კვესელავა.

ადამ მიცკევიჩის ლექსების ქართულ თარგმანებს წაიკითხავენ პოეტები გ. აბაშიძე, კ. ჭიჭინაძე, მ. ისამანი, ვ. გორგაძე.

დასასრულ შესრულებული იქნება პოლონელ კომპოზიტორთა ნაწარმოებნი.

პასუხისმგებელი რედაქტორი გ. ნანიტაშვილი

თეატრებში

ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის — 5-I დღისით—„გედის ტბა“, საღამოს — „ბორის გოდუნოვი“ (8 აბ. 6 წარმ.), 6-I „კარმენ“ (9 აბ. 6 წარმ. ინაშვილისა და აზრიკანის მონაწილეობით);

რუსთაველის სახელობის — 5-I „სამშობლო“ (20 სერ. 4 წარმ.), 6-I დღისით — „ქეთევან დედოფალი“, საღამოს—„ქეთევან დედოფალი“ (17 სერ. 4 წარმ.);

მარჯანიშვილის სახელობის — 5-I დღისით—„ყვარყვარე თუთაბერი“ საღამოს —„რკინის პერანგი“ (13 სერ. 4 წარმ.), 6-I „ცეკვის მასწავლებელი“ (6 სერ. 4 წარმ.);

ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — 5-I „აშულ-მურადი“ (2 აბ. 6 წარმ.), 6-I დღისით—„სამთა ხიყვარული“, საღამოს—„ნათელა“ (აბ. გარეშე).

თბილისის სახელმწიფო ცირკი

5, 6, 7, 8, 9 და 10 იანვარს

პირველი ციკლის უკანასკნელი 6 დღის

პროგრამა

რსფსრ დამსახურებული არტისტის

კიოს

და მისი

75 ასისტენტის მონაწილეობით

დიდი ახალი საცირკო პროგრამა სამი განყოფილებით.

დასაწყისი 8 ს. და 30 წ.

ბილეთები იყიდება სალაროებში სახელმწიფო ცირკის კიბის ასავალთან, რუსთაველის პროსპექტზე—მაღაზია „წყლები“ და პლეხანოვის პროსპექტზე—მაღაზია № 3.

სევერიანე კალანდია და ელიზბარ უბილავა ოჯახებით თანაგრძნობას უცხადებენ ელენე და თეოფანე უბილავებს დედისა და სიდედრის ექიმ **ანთარამ სერგოს ასულ მნაცაკანოვას** გარდაცვალების გამო. პანაშვიდი 5-I, 7½ ს. დაკრძალვა 6-I, დღის 4 ს. გამოსვენება ვაჟა-ფშაველას 9.

კიროვის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კოლექტივი თანაგრძნობას უცხადებს კ. კერესელიძეს მისი დედის **ნინო სოფრომის ასულ კერესელიძის** გარდაცვალების გამო.

შვილები გენო, ელენე, ქენია, მანია, ნინო, ნადია, ტასო, სიძეები ზაქრო, მიშა, ვასილ, ალექსანდრე, რძალი ნადია შვილებით იუწყებიან **თამარ გოგიჩაშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 6-I ქ. გორში, კეცხოველის, 67.

შვილები ნიკოლოზ, ანდრო, მიშა, ნინო, ეკატერინე და მარგალიტა ოჯახებით იუწყებიან **ივანე თომას-ძე სიმონიშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 6-I ს. შემოქმედში (მახარაძის რაიონი).

ი. ენუქიძე, ა. სანაძე, ს. სვანი, თ. ქებაძე, ო. პაპავა, მ. ნიკოლაევი, ე. გვერწითელი, მ. ჩიტაევა, შ. ლონდარიძე, ვ. ნაცვლიშვილი, კ. მიქელაძე, მ. ჯინჭარაძე, გ. ოქრომჭედლიშვილი, ნ. ჯობავა, ე. ხოხიაშვილი, დ. ცქიტიშვილი, ც. ავაქიშვილი, თ. ნოვოტარსკი იუწყებიან ა. კერესელიძის დედის **ნინო კერესელიძის** გარდაცვალებას.

გერონტი, ნინო, ნოე, მართა, ზურაბ, ნანული ბერიშვილები, ოლღა, ბორის, ჯიჯი. მედეა, ბერძია ხვედელიძეები იუწყებიან **ეთერ შულლიაშვილი-ბერიშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 6-I, 5 ს. ს. შუასურებში (ჩოხატაურის რაიონი).

ელენე და კოტე კაკაბაძეები შვილით იუწყებიან **ბარბარე (ვარინკა) ალექსანდრეს ასულ ბოკუჩავა-იოსელიანის** გარდაცვალებას.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს თანამშრომლები იუწყებიან ამხ. ვლადიმერ კოპინაშვილის მამის **იასონ დიმიტრის-ძე კოპინაშვილის** გარდაცვალებას.

მეუღლე პარასკევა, შვილები ლიდა, მიშა და ლოლა, სიძეები პ. ქიქავა და დ. მიქაძე, რძალი ნონა შვილებით იუწყებიან **გიორგი თეიმურაზის-ძე კარტოზიას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 9-I ცხაკაიაში.

საქართველოს ქვანახშირის კომბინატის თანამშრომლები იუწყებიან კომბინატის მთავარი ინჟინერის ნ. ტყემალაძის დედის **დარია ზაქარიას ასულ ტყემალაძის** გარდაცვალებას.

მეუღლე ოლღა, შვილები ვლადიმერ, ვარია, ვერა, რძალი გურიანა იუწყებიან **პავლე ალექსის-ძე მინდიაშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 5-I, 7 ს. გამოსვენება 6-I, 4 ს. შავთელის, 13.

შვილები ნინო მიქელაძე, აკაკი და დავით ჩიჩუა ოჯახებით იუწყებიან **ფეოდოსია კონსტანტინეს ასულ ჩიჩუას** გარდაცვალებას. პანაშვიდი 5-I, 7 ს. გამოსვენება 6-I, 4 ს. ბესიკის, 34.

ბავშვთა ცენტრალური სტომატოლოგიური პოლიკლინიკის თანამშრომლები იუწყებიან ექიმ-სტომატოლოგ **ანთარამ სერგოს ასულ მნაცაკანოვას** გარდაცვალებას. პანაშვიდი 5-I, 7½ ს. გამოსვენება 6-I, 4 ს. ვაჟა-ფშაველას, 9.

თბილკანალტრესტის მუშა-მოსამსახურეები თანაგრძნობას უცხადებენ ა. კერესელიძეს მისი დედის **ნინო კერესელიძის** გარდაცვალების გამო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის აპარატის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ამხ. ვასილ იაკობის-ძე ეგნატაშვილს მისი ძმის **ალექსანდრე იაკობის-ძე ეგნატაშვილის** გარდაცვალების გამო.

ნიკოლოზ მაქსიმეს-ძე რუხაძე ოჯახით იუწყება გენერალ-ლეიტენანტ **ალექსანდრე იაკობის-ძე ეგნატაშვილის** გარდაცვალებას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თანამშრომლები: ი. გ. როსტომაშვილი, ა. მ. ღლონტი, ნ. ი. პროსტოსერდოვი, შ. გ. მაღლაკელიძე, ა. მ. რიჟამაძე, ლ. ა. ბეჩუკაშვილი, ფ. გ. მელითაური, ა. ნ. წულეისკირი, ა. ნ. ნიკოლაიშვილი, გ. ა. ვაჩეიშვილი, გ. ი. ლომიძე, ქ. გ. ქაჯაია, ე. ი. ცისკარიძე თანაგრძნობას უცხადებენ ამხ. ვასილ იაკობის-ძე ეგნატაშვილს მისი ძმის **ალექსანდრე იაკობის-ძე ეგნატაშვილის** გარდაცვალების გამო.

შვილი გიორგი ეგნატაშვილი, რძალი თამარ შვილებით ნათელათი და ელიოთი იუწყებიან **ალექსანდრე იაკობის-ძე ეგნატაშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა ქ. გორში.

მიხეილ ბესარიონის-ძე მოსიძე ოჯახით იუწყება **ალექსანდრე იაკობის-ძე ეგნატაშვილის** გარდაცვალებას.

მეუღლე პელო, შვილები ნინო, ელენე, ლადო, დავით, რძალი ნინო, სიძეები ალექსანდრე აბულაძე და ვიქტორ ავლიანი შვილებით იუწყებიან **იასონ დიმიტრის-ძე კოპინაშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 6-I ქ. წულუკიძეში, ლიბკნეხტის, 22.

შვილები ნიკოლოზ, პავლე, მარიჯან, თამარ და ნინო იუწყებიან **დარია ზაქარიას ასულ ტყემალაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 5-I, 7 ს. გამოსვენება 6-I, 4 ს. ჯაფარიძის, 10.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3-08-67, ხამდივნოსი—3-06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდის, პარტიული ცხოვრებისა და საბჭოთა მშენებლობის — 3-81-84, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო-სატრანსპორტოსი — 3-80-83, კულტურის, ყოფაცხოვრებისა და ინფორმაციის—3-80-54, ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელისა და მშრომელთა წერილების—3-73-24, მორიგისა და გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობისა — 3-51-81, სტამბის დირექტორი—3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“. თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტირაჟი 110.000 შე 00701